



გაზეთი გაზეთის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

ქართულების გადარჩენა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



№403 (462) 4-18 აპრილი 2017 წ. სხვადასხვა მოკრატობა „სამეგრელოს“ ორბანო შანი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ ვებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით ვებრული ვნა – აკაკი შანიკა

**ჰაელაბ ჭიკაშვილი:
თურქეთ-ევროკავშირის
კინკლაპი და
საქართველო**

88.2

**თეგურ სასურია:
ბასკები
დასავლეთის
იბერები**

88.3

**ვასო ცალანი – სპანური
ნარეკობის ღირსეული
ქართველი დალის
ხეობიდან**

88.5



88.6

**რამდენიმე
ეპიგოდი
იუბილარი
პატრიარქის
ცხოვრებიდან**



**ანრიდ
(ბუჭა)
სანაია –
80 წლის
გახდა**

88.8



**ქართველ
ეკითხვებს ვულოცავთ
მისი უსაყვარლესი
შემოქმედის –
ვანბანხ ხარჩილავას
იუბილეს!**

88.7

**ქართული სუფრა
ევროპული ქვეყნების
სამზარეულოებს შორის მე-4
ადგილზეა – რას ნერან
ბლოგერები
ქართულ ქერქებზე**

88.7



**გური 88.12
ოტობაიას
ვებრული
პოეზიის
ანთოლოგია...**



88.4

**ლავრენტი
ბერია –
საბჭოთა
კავშირის
ცილდანამებული
გმირი**



**თენგიზ
კუბლაშვილი:
პატივცემულ
ქართველ
ბიზნესმენებს!**

88.3

თურქეთ-ევროკავშირის კინკლაპი და საქართველო

თურქეთ-ევროკავშირის შორის დაძაბულობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ანკარა-ბრიუსელს ერთმანეთს შორის რომ კარგა ხანია ფარული ომი აქვთ გამოცხადებული არავის უკვირს, მაგრამ უკვირს ის, რასაც დღეს აქვს ადგილი – მარაზე გამოტანილი ლანძღვა-გინება. ინიციატორი ამ საქმისა, ერთის შეხედვით ანკარაა, მაგრამ ერთის შეხედვით, ვინაიდან ანკარა საჯაროდ აცხადებს იმას, რაც გულში აქვს. ასე იყო გუშინ და გუშინწინ. ანკარის გადიხანება გამოწვეულია ბრიუსელის ქვეშევრდომი პოლიტიკით, კულტურული, ანტი-თურქული განაწევრილებებით, რომლებმაც მოთმინებიდან არა მარტო თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი გამოიყვანა, არამედ თურქეთის მთავრობა, სრულიად თურქეთი.

ქვეშევრდომი პოლიტიკა ბრიუსელის ხელწერაა, რასაც სისტემატურად მიმართავენ არა მარტო თურქეთის, არამედ რუსეთის, ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნების მიმართ, რომლებიც მთელ რიგ საკითხებში (ენერგეტიკა, ანტირუსული სანქციები, ლტოლვილები) არ ეთანხმებიან ბრიუსელს, მაგალითად უნგრეთი.

თურქეთს ბევრი წყენა მიაყენა ბრიუსელმა, მათ შორის გამაღმებელი დაპირებები ამ ქვეყნის ევროკავშირში მიღებასთან დაკავშირებით. ათეული წლებია ევროკავშირი პირდება თურქეთს გაწევრებას, მაგრამ ბოლო მომენტში გადავადებას აცხადებს – ზოგიერთი საკითხის შეუსრულებლობის საბაბით. ბრიუსელი პერიოდულად, საშინაო დავალებებს აძლევს თურქეთს შესასრულებლად. როდესაც შეყაითი შრომით ეს ქვეყანა დავალებას ასრულებს, ბრიუსელი მასწავლებელი ან იქნება შესრულებული დავალება, ან დამატებით ახალ დავალებას აძლევს მას. ეს პროცედურა ლამის ნახევარი საუკუნეა გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ევროკავშირში სხვა ქვეყნები შეიყვანეს, მათ შორის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც ვერასდროს იფიქრებდნენ ევროკავშირში შესვლას ან ასოცირებას, მაშინ, როდესაც თურქეთი გახდა ასოცირებული წევრი.

ევროკავშირის პოლიტიკა გასაგებია, მაგრამ რომ იტყვიან – დაუკვილს, გატყვიანი სჯობს – ერთსულ და სამუდამოდ სიმართლე უნდა თქვას მან, ისეთი, როგორც თავის დროზე საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ – თურქეთი ევროკავშირის ელიტებს ევროკავშირის წევრობას.

ბრიუსელს აფიქრებს 80-მილიონიანი მაჰმადიანური თურქეთის თავის რიგებში მიღება, რაც გასაკვირი არ არის, ამიტომაც იკონებს თურქეთისთვის ახალ დავალებებს. ბრიუსელს არ სურს მოიშოროს თურქეთი. მისი მიზანია – ბრიუსელის ზღუდრულად მგობრივ, მუდამ კარის გაღების მოლოდინში მყოფი თურქეთი და არა მოშორებული, სხვისკენ გადახრილი, მაგალითად რუსეთისკენ.

პატივიმყოფარე ერდოღანისთვის ბრიუსელის პოლიტიკა მიუღებელია და ის აქტიურად ექებს სხვა გზებს – სხვებთან ურთიერთობებს. ამ ძველ, უკვე ქრონიკულში გადასულ უკმაყოფილებას რეფერენდუმში გააღმებელი და ანკარის მიერ დანიშნული რეფერენდუმში, რომელმაც ცვლილებები უნდა შეიტანოს კონსტიტუციაში – საპრეზიდენტო მმართველობის დაბრუნების სახით.

წინადადება, ქვეყნის პრეზიდენტის, ერდოღანისა, რომლის მიზანია ძლიერი ერთმმართველობის ჩამოყალიბება. თურქეთის პოლიტიკური პარტიები, საზოგადოება არცთუ გულმხურავად ეთანხმება პრეზიდენტის სურვილს, რამაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს რეფერენდუმის შედეგზე. ერდოღანისთვის თითოეულ ხმას მნიშვნელობა აქვს. ის და მისი ხელისუფლების მაღალჩინოსნები მთელ თურქეთს არიან მოდებული და მოსახლეობას მოუწოდებენ მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმში. თურქეთის მთავრობას არც უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები გამოეხილა მხედველობიდან. ამდენად იქ სადაც მეტწილად დიდი თურქული დიასპორაა, მინისტრები იქნენ მივლინებული – შესაბამისი მიტინგებისა და შეხვედრების გასამართავად.

გერმანია, საფრანგეთი, პოლანდია, ევროპის სხვა ქვეყნები ერდოღანის პროპაგანდის ცენტრში მოექცნენ, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა, მაგალითად გერმანიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა, თურქული დიასპორის მიერ გამართულ მიტინგებში მონაწილეობის მისაღებად და სიტყვის წარმოსათქმელად თურქი

მინისტრები არ შეუშვეს, რასაც მოჰყვა აღშფოთებული ერდოღანის გაწინააღმდეგება და აღნიშნული ქვეყნების ხელმძღვანელების ლანძღვა-გინება, ფაშისტურ პოლიტიკაში დადანიშნულება და სხვა.

ევროკავშირის ხელმძღვანელობამ, ისე, როგორც გერმანიის, პოლანდიის, დაგმეს ერდოღანის ავსტიტუცია და ნორმალური დიპლომატიის მოუწოდეს მას. ასე და ამრიგად, ძველ ტრილოზას, ახალიც დაემატა, რამაც ისედაც დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა.

ერდოღანის განაწევრების კიდევ ერთი საფეხელი, გასული წლის ჩაშლილი სახელმწიფო გადატრიალებაა. მასში მონაწილე სამხედროების ნაწილი თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ნატო-აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ბაზა ინჯირლიკზე მსახურობდნენ, რაც თავისთავად უზენს უჭვს, ისედაც ეჭვიან თურქეთის პრეზიდენტს, რომ ნატოსა და აშშ-სთვის ასე თუ ისე ცნობილი იყო ამ ანტისახელმწიფოებრივი გადატრიალების მზადება.

სწორედ აქედან გამომდინარე ანკარა-ვაშინგტონს შორის გარკვეული დაძაბულობა შეიქმნა, რასაც ემატება აშშ-ში მცხოვრები თურქი ფიოპულა გიულენის თურქეთისთვის გადაცემის მოთხოვნა. ოფიციალური ანკარა თვლის, რომ ჩაშლილი გადატრიალების მოთავე ის იყო, რასაც არ იზიარებს აშშ-ში და ანკარისგან შესაბამის დამადანაშაულებულ დოკუმენტაციას ითხოვს. ვეჯვობ, რომ თურქეთის მიერ წარდგენილი მასალების შემდეგ, აშშ-ა გიულენი თურქეთს გადასცეს.

აღნიშნულ პრობლემებს ლტოლვილების თემაც ემატება. 6 წლის წინათ სირიის ომის დაწყებასთან ერთად, სირიელი ლტოლვილების დიდი ნაკადი მიაწვდა თურქეთს, მათ დამატებით ერაყელი ლტოლვილებიც. როდენობამ თითქმის 2 მილიონს გადააჭარბა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა თურქეთის ეკონომიკას. ხუმრობა საქმე არ არის კარგებში მცხოვრები ლტოლვილებისთვის მინიმალური პირობების შექმნა. ლტოლვილთა გარკვეულმა ნაწილმა, უკეთესი ცხოვრებისთვის პირი ევროპისკენ მიაპყრეს, რითაც უდიდესი პრობლემები გააჩინეს ევროკავშირის ქვეყნებში, დააპირისპირეს წევრი სახელმწიფოები ერთმანეთს.

ლტოლვილებით გამოწვეული კრიზისი დღესაც გრძელდება. ერთი წლის განმავლობაში ევროკავშირში შესული ლტოლვილების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა და მძიმე ტვირთად დააწვა მასპინძელი ქვეყნების ეკონომიკას. გაუარესდა კრიზისოვანი ვითარება, გაიზარდა ტერორისტული აქტები და ა.შ. ბრიუსელმა სთხოვა ანკარას ლტოლვილების თურქეთის ტერიტორიაზე დამატება, რისთვისაც საკომპენსაციო თანხასაც, 3-5 მილიარდ ევროს დაჰპირდა. ანკარა წავიდა დათმობაზე. შეაკავა ლტოლვილთა ნაკადი, მაგრამ დაპირებული კომპენსაციის სრულ პაკეტს ვერა და ვერ ეღობის, რასაც მოჰყვა ერდოღანის მუქარა – ლტოლვილების გაშვებასთან დაკავშირებით.

ხუმროყვანილი საკითხების გარდა სხვა მრავალი, შედარებით წვრილმანი საკითხიცაა, რომლებიც ანკარა-ბრიუსელის ურთიერთობებს სერიოზულად ძაბავს და თურქეთის ევროკავშირში მიღებას არათუ აჭიანურებს, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ევროკავშირ-ნატო-აშშ-ზე უკმაყოფილო ერდოღანი რუსეთთან ადგენს ურთიერთობას – გაუარესებულს რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად.

ანკარა ბოდიშს იხდის და იწყებს ინტენსიურ ქმედებას რუსეთთან მრავალმხრივი ურთიერთობების აღსადგენად, რომელთაგან გამოსაყოფია ენერგეტიკა და სამხედრო თანამშრომლობა. კვლავ გააქტიურდა „სამხრეთის ნაკადის“ თემა ანუ რუსული გაზსადენით თურქეთისა და ევროკავშირის ქვეყნებისთვის რუსული გაზის მიწოდება, აქიუს ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობა, თურქეთის მიერ რუსული რაკეტ-საწინააღმდეგო სისტემის რ-400 შექმნა და სხვა.

რუსეთ-თურქეთის დიპლომატიის გამარჯვებულ შედეგება ჩაითვალოს სამხედრო თანამშრომლობა სირიაში, რასაც მოჰყვა თანამშრომლობა მოსადაპარაკებელი დიპლომატიური მაგიდის ირგვლივ. შეიკრა კავშირი მოსკოვის, თეირანის და ანკარის სახით, რომელმაც დასაბამი მისცა სირიის საკითხში ხელისუფლება-ოპოზიციას

შორის მოლაპარაკების დაწყებას ვახახეთის დედაქალაქ ასტანაში. მართალია მოლაპარაკებაში აშშ-ც იღებს მონაწილეობას, მაგრამ დომინანტები რუსეთი-თურქეთი და ირანი არიან.

არის თუ არა ეს ამ ქვეყნების დიპლომატიური გამარჯვება? უდავოდ, არის. მათ როლს ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ვერვინ დააკნინებს. სირიის ომში ჩართვით, რუსეთმა არათუ დაიბრუნა მსოფლიოში და ამ რეგიონში დაკარგული პრესტიჟი, არამედ გააორმაგა კიდევაც.

რუსეთ-თურქეთის დაახლოებას შემოთვებით უშუალოდ ევროკავშირსა და ნატოს და არც იცის, რას მოიფიქრებენ ისინი მოსკოვ-ანკარას შორის ურთიერთობის გასაფუჭებლად. დასავლეთს ადევლებს მოსკოვ-თეირანის კავშირებიც და ყველანაირად ცდილობს მის გაუარესებას.

ამ ფონზე მოსკოვ-ვაშინგტონის კონსტრუქციული ურთიერთობები არცთუ მტიცივედ ჟღერს. ვაშინგტონმა, პირადად პრეზიდენტმა ტრამპმა ირანი ნომერ პირველ ტერორისტად, მტრად გამოაცხადა და ახალი სანქციებითაც „დააჯილდოვა“. და ეს მაშინ, როდესაც ირანის წვლილი ტერორიზმთან ბრძოლაში ფასდაუდებელია. ტრამპის ადმინისტრაციამ ძველი სტერეოტიპებით სარგებლობს, რაც ეწინააღმდეგება ერთიანი ძალით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

ვაშინგტონ-მოსკოვის სამომავლო ურთიერთობები ჯერაც გაურკვეველია. ტრამპის გამოუცდელი გუნდი სწავლობს და არ არის მზად მოსკოვთან კონსტრუქციული ურთიერთობებისთვის. ყოველივე ამას ართულებს და ხელს უშლის თვით აშშ-ი აგორებული ანტიტრამპული კამპანია. მას ადანაშაულებენ რუსეთისადმი ლოიალური განწყობისთვის. როგორც ჩანს, ამერიკული პოლიტიკური ელიტა რუსეთისგან მუდმივი მტრის ხატს ქმნის.

ომის ზღვრამდე მიყვანილი პოლიტიკა უპირველესად სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებს ემსახურება, ისე, როგორც გაზრდილი სამხედრო ბიუჯეტი. ევროკავშირში, ნატოში, ახლო აღმოსავლეთში, უკრაინაში შექნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მსოფლიო მოსახლეობის სერიოზული აფეთქების წინაშე იმყოფება. ასეთ დროს ნებისმიერმა ქვეყანამ, ეპიცენტრთან ახლოს მდებარე, ყველაფერი უნდა იღონოს თავის გადასარჩენად.

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც სხვაგვარად ფიქრობს, ჩვენია. ამის მიზეზი მრავალია, მათ შორის საერთაშორისო არენაზე ხანმოკლე ყოფნა, გამოუცდელია, საკითხი თავზე დიდი წარმოდგენის ქონა, სხვისი (აშშ-ს, ევროკავშირის, ნატოს) მომხედობა, დაუბალანსებელი პოლიტიკა.

ამიერკავკასიაში მდებარე პატარა საქართველო ჯერ ვერ ითავისებებს, რა ვითარებაში, რა მეზობლობაში უწევს ცხოვრება. ჯერაც ვერ მიმხედარა, რომ ორ დიდ მეზობელს შორის (რუსეთ-თურქეთი) დაპირისპირების საგნად კი არა, თანამშრომლობის ხილად უნდა იყოს. ზომიერი ურთიერთობა ორივესთან – პოლიტიკა იქნება თუ ეკონომიკა, ვაჭრობა თუ კულტურა. წამიერი გადახრაც კი ერთი მიმართულებით, მეორის ეჭვს ადრავს და აქედან გამომდინარე – ქმედებას.

25 წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკამ მხოლოდ ის მოახერხა თურქეთს ჩახუტებოდა, აქაოდა ნატოს წევრი ქვეყანა და ევროკავშირში შესვლის კანდიდატიც და რუსეთს ლანძღვა-გინება არ მოაკლო. 2008 წელს, მშვიდობისმოყვრელებიც დაუხოცა და დამის პირისპირ იარაღითაც ეკავია. შედეგი – სავალალო და მრავალი წლის განმავლობაში გამოუსწორებელი.

წარსულში დაშვებული შეცდომები დღესაც მეორდება. „საოცნებო“ ხელისუფლება დაბეჯითებით მიუყვება „ნაციონალების“ მიერ ამოჩემებულ ევროატლანტიკურ გზას. თუმცა ეს გზა თავის დროზე „ნაცოთ“ მიერ დაიხობილა შეფარდების ხელისუფლებამ გაკვალა.

„საოცნებო“ ხელისუფლება სწორედ იქ ყოფს თავს, საიდანაც საფრთხე არის მოსალოდნელი. ავიღოთ თუნდაც შავი ზღვის უსაფრთხოების თემა. მას შემდეგ, რაც რუსეთმა, ხრუშჩოვის მიერ, უკრაინისთვის ნაბოძები ყირიმი დაიბრუნა, გამწარებულმა დასავლეთმა ახალი ანტირუსული კამპანია ააგორა. სანქციებიც დააწესა რუსეთს წინააღმდეგ. დასავლეთი დარწმუნებული იყო, რომ უკრაინის ხელისუფლება ყირიმის ნახევარკუნძულს

უბოძებდა სამხედრო ბაზების შესაქმნელად, მაგრამ მოსალოდნელ გარიგებას რუსეთმა დაასწრო.

შავ ზღვაზე ნატოს სამი წევრი ქვეყანა – თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. თურქეთის ნატოსადმი დამოკიდებულების თაობაზე ზემოთ აღვნიშნე. უკრაინა და საქართველო თავგასაპნული ეტენებიან ნატოს და წინადადება-წინადადებაზე აყრიან თავს ამ ორგანიზაციას, მოსახიბლად. მაგალითად, ფოთის პორტიც გამოდგება, რომელსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ხელგაშლილად სთავაზობს ნატოს, სანაპირო დაცვის ბაზის შესაქმნელად.

დავუშვათ, თურქეთი გავიდა ნატოდან, რა მოჰყვება ამას? – მონტროს 1936 წლის ხელშეკრულების უპირობო დაცვა, რომლის მიხედვით შავი ზღვის არაწევრი ქვეყნების გარკვეული ზომის ხომალდები, მხოლოდ 21 დღით შეუძლიათ ამ ზღვაში ყოფნა. თუკი ეს ხელშეკრულება დღესაც სრულდება, შესაძლოა ზურღელდაც კი, თურქეთის ნატოდან გასვლის შემთხვევაში შედმიწვენიტ მკაცრად შესრულდება.

მონტროს ხელშეკრულებით, თურქეთს აქვს ბოსფორისა და დარდანელის გასადები. ახ ამის ინიციატორი თავის დროზე საბჭოთა კავშირი იყო. მაშინ მოსკოვი და ანკარა მოკავშირეები იყვნენ. რა ვითარება გვაქვს დღეს? მოსკოვ-ანკარას შორის სამოკავშირო ურთიერთობების აღდგენა. არის თუ არა ეს ჩვენი ხელისუფლების მიერ გასათვალისწინებელი? პასუხი მკითხველისთვის მიმინდვია.

და კიდევ ერთი რამ. სულ ახლახანს, ართვინში საავტოცილო ჩასვლამა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა იღლირემმა ბათუმშიც შემოიარა და საათნახევრის განმავლობაში, ვახშობის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრ კვიციანიშვილს ეჭუკუჭუკა. თუ რაზე – ფართო საზოგადოებისთვის უცნობია.

ართვინში რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით ჩასულ იღლირემს, რომ იგივე საკითხი გაუაღებინა ბათუმში, გასაკვირი არ არის, ვინაიდან აჭარასა და მთლიანად საქართველოში მრავალი თურქი ცხოვრობს და მათი რეფერენდუმში მონაწილეობა, რადაცაა ნიშნავს ერდოღანისთვის. იღლირემის ჩამოსვლაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ ბალანსისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა, რუსეთის პრემიერ-მინისტრის ასეთივე „რუცბადი“ ჩასვლა აჭარაში. რუსეთი ხომ ვარსის ხელშეკრულების ინიციატორია?!

მაპატიეთ ფანტაზიისთვის. ვერც მედვედევო და ვერც პუტინი საქართველოში ვერ ჩამოვლენ, ვინაიდან დიპლომატიური ურთიერთობები გაწვევნიტ გვაქვს და ლამის რუსეთის პრეზიდენტის 3 განცხადება, მოლაპარაკების დაწყებასთან დაკავშირებით უკან ამოვისვით. არადა, თურქეთის გავლენის დასაბალანსებელი წამალი სხვა არაფერია, თუ არა რუსეთი, ვინაიდან სხვა – აშშ-ი, ევროკავშირი სწორედ რუსეთის რდიეთ ვერ გააკეთებს ამას. მცდელობას არ დააკლებს, მაგრამ საწადელს ვერ მიადგვს, ვინაიდან რუსეთი, სამხედრო თვალსაზრისით, ძალაა. ძალას კი ყველა თავს უხრის. ასეა – „შიში შეიქმნა, სიყვარულსა“.

და ბოლოს, ერდოღანის ერთობ „დამამშვიდებელი“ განცხადება, რომლითაც მან ევროპაში მცხოვრებ თურქებს მიმართა: „მე, მივმართავ ჩემს ძმებს და დებს ევროპაში მცხოვრები. დაბადეთ 5 შვილი, სამი კი არა – ხუთი. თქვენი ქვეყანა (სამშობლო) იქ არის, სადაც ცხოვრობთ, დამაგრდით ამ ტერიტორიაზე; გააფართოვეთ ბიზნესი, ასწავლეთ შვილებს საუკეთესო სასწავლებლებში, ჩასახლდით კარვ რაიონებში, იარეთ საუკეთესო ავტომანქანებით. თქვენ ევროპის მომავალი ხართ“.

გერმანიაში 4 მილიონი თურქი ცხოვრობს, არანაკლები ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში. თუ ევროკავშირი არ დაიშლება, რისი იმედიც არ მაქვს, 20-30 წლის შემდეგ გამაჰმადიანებული ევროპა იქით დაუწყებს თურქეთს ხევეწანს – შემოდითო.

წამით, მხურა ჩვენს მცირემოსახლიან ქვეყანას მივაპყროთ, სადაც მაჰმადიანიც ცხოვრობს, მითუმეტეს თურქი სუნიტიც და სხვაც. ერდოღანის მოწოდებას აქ მაცხოვრებელი თურქებიც გაიგებენ და შესრულებენ კიდევაც. შედეგი რა იქნება? ვიფიქროთ ამასზე და არა რადაც სისუფლელებზე, „ნაც-ციცები“ რომ ტენის გვიბურღავენ.

კამლატ ჰიკაშვილი, პოლიტოლოგი

ბასკები დასავლეთის იბერიაში

ქართველებისა და ბასკების ნათესაობის პრობლემა დიდი ხანია აინტერესებს მეცნიერებას, ქართველ საზოგადოებრიობას და არამხოლოდ მათ. ბასკების ისტორია, როგორც სხვა ზოგიერთი პატარა ხალხის ისტორია – ეს არის დამპყრობლების წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლის ისტორია, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხალხის ისტორია. თუმცა “ძნელია დაიწეროს ამ ერის საშინაო და საგარეო ისტორია, რადგან არ არსებობს არც ერთი ძველი დოკუმენტი მის შესახებ” (რ.გალაძე)

ბასკები თავის თავს უწოდებდნენ ეუსკალდუნაკს (euskaldunak), რაც სიტყვა-ასიტყვით ნიშნავს: “ბასკურად მოლაპარაკე ხალხი”. ბასკურ ენას ეწოდება ეუსკარა (euskara). ბასკები ძირითადად ცხოვრობენ ესპანეთში, საფრანგეთში და ლათინურ ამერიკაში. ბასკებს ესპანეთში უკავიათ შემდეგი პროვინციები: ბისკაია (მთავარი ქალაქი ბილბაო), გიპუსკოა (მთავარი ქალაქი სან-სებასტიანი), ალავა (მთავარი ქალაქი – ვიტორია), ავარა (მთავარი ქალაქი – პამპლონა). საფრანგეთში ბასკებით დასახლებული რაიონებია: ლაბური, სული, ქვემო ნავარა. ლათინურ ამერიკაში ბასკები დასახლებულნი არიან მონტევიდეოსა და არგენტინაში, სადაც მათ გახსნილი აქვთ პრესა და თავისი ეროვნული ორგანიზაციები.

“ბასკები ევროპის უძველესი ხალხია. ისინი ბინადრობდნენ პირენეებში გაცილებით უფრო ადრინდელ ხანაში, ვიდრე იქ ევროპელები დამკვიდრდებოდნენ. დღეს ბასკები დასავლეთში წარმოადგენენ ერთადერთ უძველეს ტომს, რომელიც არ არის ევროპელთა მოდგმისა, ბასკური ენა ერთ-ერთი არაინდოევროპული ტიპის უძველესი ენაა ევროპაში.

ბასკებს ეჭირათ ფართო ტერიტორია პირენეის ნახევარკუნძულზე (რასაც მოწმობს ამ მხარის ტოპონიმია), მაგრამ ისტორიულ წარსულში ისინი შეავიწროვეს და მიუვალ მიწებში მოაშფეველიეს.

რომაელებმა ვერ მოახერხეს ბასკების გადაგვარება, მაშინ როდესაც რომანია-

ციას ვერ ასცდნენ დანარჩენი იბერიული ტომები დასავლეთში და სამუდამოდ შეერივნენ ლათინთა მოდგმას. ბასკები გადაურჩნენ აგრეთვე ევსტგუთებისა და არაბების ლაშქრობებს და ფაქტობრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს უღმობელ და უთანასწორო ბრძოლაში.” (შ. ძიძგური)

ესპანელი ისტორიკოსი ლ. პერიკოტ გარსია წერს: “ერთადერთი ენა, წინაისტორიულიდან გადარჩენილი, საკვირველება, ესპანეთს რომ ემთხვევა ნეოლითის, და შესაძლოა პალეოლითის მიერ. რა ენაა ეს ენა? არავითარ ძალას არ შეუძლია ევროპაში XX საუკუნის ადამიანი გადაისროლოს, ვთქვათ, 5 და 10 ათასი წლის წინარე ხანაში, დაუბრუნოს მას იმ დროინდელი რეალობის შეგრძნება! საკმარისია მხოლოდ მოვესმინოთ ბასკ გლეხებს ესპანეთში, როცა ისინი მღერიან თავიანთ ენაზე რომელიმე სახალხო დღესასწაულის დროს”.

მეცნიერებაში დღემდე დიდი დავის საგანია ბასკების თავდაპირველი სამშობლოსა და მათი ეთნიკური წარმოშობის საკითხი. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს რომ ბასკები ჩრდილოეთ აფრიკიდან მოსული ხალხია, ასევე იყვნენ ისეთი მკვლევარები რომლებმაც ბასკებს სამხრეთ ამერიკიდან მოსულ ხალხად მიიჩნევდა, თუმცა ამ ორმა ვერსიამ დღემდე ვერ მოიპოვა გავრცელების არეალი.

ზემოთ აღნიშნული ვერსიებისგან განსხვავებით ყველაზე დიდი გავრცელების არეალი ჰპოვა ბასკების კავკასიიდან წასვლის თეორიამ, კერძოდ კი კავკასიის იბერებისა და დასავლეთის იბერების ნათესაობამ.

პლინისუს უმცროსი წერდა: “ესპანეთის იბერები წარმოშობით ახის იბერიიდან არიან”. ფრანგი ა. ბოდრიმონი წიგნში “ბასკების ისტორია”, რომელიც 145 წლის წინათ გამოუციათ პარიზში, ასკენის, რომ იბერიელები პირენეის ნახევარკუნძულზე მოვიდნენ კავკასიის იბერიიდან – საქართველოდან და თავიანთ ქვეყანას იმ ქვეყნის სახელი დაარქვეს (იბერია), საიდანაც მოვიდნენო.

საქართველოს შესახებ ჯოზეფ სმიტის სტატიაში ნათქვამია, რომ შესაძლებელია ბასკურიც ენათესავებოდეს ქართულს. დასაშვებია ბასკები ეთნიკურადაც “კავკასიური” წარმომავლობისა იყვნენ. თუ გავიხსენებთ, რომ რომაელები საქართველოსა და ესპანეთსაც იბერიას ეძახდნენ, საფიქრ-

ებელია, ეს საერთო წარმოშობას მიუთითებდეს.

ბასკოლოგი ადოლფ დორნიგი თავის წიგნში “იბერები და ეუსკარები და იბერიული ცივილიზაციის მისია წინაისტორიულ ეპოქაში”, როდესაც ბასკების სადაურობის საკითხს იხილავს, ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ისტორიულ ადგილებზე “დოსკურია“-ზე ანუ “ისგაურ“-ზე რომლებიც წარმოადგენენ შავი ზღვის ნავსადგურებს და საიდანაც ა. დორნიგის აზრით, იბერიულ ტომთა ერთი ნაწილი დასავლეთისკენ წავიდა. ა. დორნიგი წერს: პატარა ნავსადგური სოფელ ისგაურში, რომელიც ამჟამად კოლხეთის ნაპირზე მდებარეობს, უძველეს დროში ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი სავაჭრო პუნქტი იყო”.

სტატიაში “აქვთ თუ არა საერთო წარმოშობა ბასკურ და ქართულ ენებს?” დოქტორი არანგი წერს: “არ შეიძლება გურადღება არ მიიქციოს იმ ფაქტმა, რომ მრავალი ქართული გვარი ზუსტი ასლია ბასკურისა, ან პირიქით. მაგალითად: ერისთავი, ლოლუა, ნოდია, აგრეთვე მრავალი ცხოვრების გვარი, რომელთა დაბოლოებაა “ური”: ზუბულური, ინაური, თნაური, წიკლაური და სხვა დიდ ინტერესს იწვევენ ტოპონიმების მონაცემები. ქართული დაბა სოფლების სახელწოდებანი გალი, ლენტიხი, ხაშური, გორი, მესტია და ბეერი სხვა თითქოს ბასკეთის რუკიდან აუღიათ, ან პირიქით, ქართულიდან ბასკურში გადაუტანიათ”.

ვილიასლადა თავის რომანში “ამალა“ მიუთითებს ბასკეთის ან საერთოდ, პირენეის ნახევარკუნძულის მთების, მდინარეებისა და დასახლებული პუნქტების ანალოგიურ სახელწოდებაზე კავკასიის იბერიაში. კიდევ ერთი ბასკოლოგი მ. ფაბრი წერს: “ახიდან პირენეის ნახევარკუნძულზე მოსული იბერები გამოეყვნენ კავკასიის იბერებს”.

საინტერესო ცნობაა დაცული ფრანგი ავტორის ფილიპ ვერიენის წიგნში “ბასკები”, რომელიც გამოვიდა 1957 წელს: “ლინგვისტები ბასკურ და კავკასიის დღევანდელ ცოცხალ ენებს შორის საერთოს პოულობენ, კერძოდ, ფონეტიკაში, სიტყვების ძირებში და გრამატიკულ სუფიქსებში. მიუხედავად იმისა რომ სპეციალისტებისათვის, როგორც არიან პროფ. რ. ლაფონი და კარლ ბოლდა, არსებობს საერთო ეუსკარო-კავკასიურს შორის, რომლის ერთ-

ერთი შტო არის ბასკური“. ასევე ამ მოსაზრებას იზიარებდნენ ქართველი ენათმეცნიერები. ქართველოლოგია აღიარებს, რომ ბასკები ქართველების მონათესავე ხალხია, ხოლო ბასკური ენა მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახს (აკად. არნ. ჩიქობავა).

ნიკო მარის პიპოტეზის მიხედვით იბერიელები (ბასკების წინაპრები) საქართველოდან არიან წასული. მათი მიგრაცია დასავლეთით ნავარადგევია ორი გზით: ერთი – ზღვაზე სამხრეთით, მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულების მიმართულებით, მეორე – ჩრდილოეთით მატერიკზე, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე და ევროპის სამხრეთით...

ბასკთა და ქართველთა ისტორიის კვლევა არ დაწყებულა საქართველოში ამ ბოლო 100 წლის მანძილზე. ბევრად ადრე, ჯერ კიდევ X საუკუნის სახელგანთქმულ მწიგნობარს იოანე მთაწმინდელს, გამორჩენილი ქართველი ლიტერატორის გიორგი მთაწმინდელის ცნობით (ნაგულისხმებია “იოანეს და ექვთიმეს” ცხოვრება, რომელიც 1042-44 წლებშია დაწერილი, – გ.მ.), ექსპედიცია მოუწვეია ესპანეთში გასამგზავრებლად, რათა მოენახლებინა ქართველთა ნათესავნი: “განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე, რათა აღიღოს ძე თვისი და რავეენიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირდნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ. და ამის პირისათვის წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რათა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი, და წარვიდეს მუნ”.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი უამრავი მოსაზრებისა და ისტორიული ფაქტისა მეცნიერები მაინც დიდხანს ვერ შეჯერდებიან იმაზე არიან თუ არა ბასკები და კავკასიის იბერები ერთი ეთნიკური წარმომავლობის ხალხი.

- გამოყენებული ლიტერატურა:
1. შოთა ძიძგური (ბასკები და ქართველები);
 2. ილია ტაბაღა (ბასკები: ლეგენდები და ფაქტები);
 3. გაზ. (“ლიტ საქართველო”), 14.04.75;
 4. გაზ. (“კომუნისტი) 15.04.75.
- თემო სახუშრიძე**

პატივსაცემულ ქართველ ბიზნესმენებს!



გია კვაშილაძეზე აღფრთოვანებით წერს: „**მე მას ვუწოდებ დიდ ქართველს, ნამდვილ მაშულიშვილს. ალბათ, მომავალში ნობელის პრემიის ლაურეატს.**“

რით დაიმსახურა ბატონმა გიამ ამგვარი შეფასება?

არქეოლოგებმა 1908 წელს კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსთან აღმოაჩინეს თიხის დისკო, რომელიც მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტია.

მხოლოდ მათემატიკოსმა, ჩვენმა თანამემამულემ გია კვაშილაძემ შესძლო ამ უძველესი ტექსტის წაკითხვა მეგრულ-ლაზური ენის წყალობით.

იგი ეძღვნება ქალღმერთს: „**ოჯახის წყარო, სული მშობელი, მოდგმის ნუნანა, აყვავე ხუთი მშვენი, ჯიშის სიწმინდით, ახლათი ნირშემსილი. ერთი ძლიერო შტოვ, ოჯახის წმინდავ, ძლიერო, თაურო ხუთი შტოსა, მფარველსხიფოსანო ნანადმერთო (დედაღმერთო), წინამძღოლო, ხანგრძელ ჰუფ დედის ტაბარი. მაყვავებლო თარხონო, ნათელს პეფესტო (ისტატღეთაევა), მდნობელი, წინამძღოლო, განწმენდისხიფოსანო, დაფარეთ მისი მოგიზგიზე სასახლე. – ჩვენო მჭევდელი, ახლითმოსილო მთვარისნაირო.**“

დროვე ევროპელი მეცნიერები. მათთვის საკმაოდ აღარ არის ის, რომ შუემრები, პელაზგები, ეტრუსკები, ბასკები, კოლხიბერები ერთი მოდგმისა და მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ხალხია.

ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ჩვენი ძველი წინაპრები ზღვაში ჩადირულ ატლანტიკურ ცხოვრობდნენ და ალბათ, მათი დამსახურებაა მაიას ტომის გასაოცარი ცივილიზაცია ამერიკის კონტინენტზე.

მეცხრამეტე საუკუნეში გამოჩნდნენ ქართველი მეცნიერები, რომელთა ქველმოქმედებამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს, ქართველი ერის წინსვლაში.

ერთი მაგალითიც საკმარისია: არც თუ ისე მდიდარმა მოჭიდავე კულა გლდანელმა ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა დააფინანსა და პეტერბურგს სასწავლებლად გაგზავნა!

გამოჩენილი ფილოლოგი, ენათმეცნიერი, ქართული ენის, ისტორიისა და კულტურის დიდი ქომაგი ავთანდილ სიხარულიძე, რომელიც სამი წლის წინ გარდაიცვალა, თავისი წიგნის „**ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონის**“ შესავალში ზოგადად მიმოიხილავს რა ქართველურ ენებს, ბატონ

ბის დიდმა ენათმეცნიერებმა ვერაფრით შესძლეს მისი გაშიფვრა. ფესტოსის დისკომ ახლოს არ გაიკარა ბერძნული ენის დიალექტები, კვიპროსული, ხეთური, ლუვიური, ფილოსტიმური, ეგვიპტური, სემიტური ენები... ამო იყო მეცნიერთა შრომა-წვალება!

გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი ჯ. ჩედვიკი თავის წიგნში „**მიკენური სამყარო**“ (თბ., 1989 წ.) ასაბუთებს იმას, რომ დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, ჩრდილოეთ აფრიკის მიწებზე, პირინეის ნახევარკუნძულზე, წინა აზიაში ინდოეთამდე ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდნენ სხვა მოდგმის და სხვა ენაზე მოლაპარაკე აბორიგენები, რომელთა ცივილიზაცია საიდანაც მოსულმა ბერძნებმა აითვისეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს.

ამ თვალსაზრისს იზიარებენ თანამე-

ქართველ ბიზნესმენებო! იმედი მაქვს თქვენც გააგრძელებთ წინაპართა ტრადიციებს, დააფინანსებთ გია კვაშილაძის ევროპაში გამგზავრებას, რათა მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციებში.

დაე, ჩვენმა მტერ-მოყვარემ ყველამ გაიგოს, რომ ძველი კოლხეთი არის საკაცობრიო ცივილიზაციის ნანადმერთი!

ღმერთი გწყალობდეთ!

თემო კვალაფშილი

ლავრაინტი ბერიძე – საბჭოთა პარტიის ცილდაწამებული ბერიძე



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ნიკიტა აკურატულად ესწრებოდა მეცადინეობებს, ისმენდა ლექციებს, მაგრამ კონსპექტებს არ იწერდა. წინ გადაფურცლული რვეული ელო, თავში კი საკუთარ ბედზე ზრუნვის გარდა სხვა აზრი არ გააჩნდა. მას არ ესმოდა, თუ რას ლაპარაკობდა ლექტორი და გამომცემლის თვალთ უშვებდა თანაკურსელებს. მას ეზიზღებოდა ისინი. მას უნდოდა ყველაზე ამადლებოდა ან თავად ამადლებულიყო, ან სხვები დაემადებებინა. მისთვის სულ ერთი იყო: ოღონდ სხვებსზე მაღლა მდგარიყო.

“ყველანი გაიძვერები არიან, – ფიქრობდა ნიკიტა, – კარიერისტიები, ჩასაფრებული მტრები, მოვიდნენ აკადემიაში, რათა არაფერი აკეთონ და სასურველი დროის დადგომამდე შეინახონ თავი.”

მემუარებშიც იგი ასე ჩაწერს: “აკადემიაში ბევრი ხალხი მოეწყო, რომლთაც დიდად არ ევითნებებოდათ სწავლა, მაგრამ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო იყვნენ მიკვლევადი სასწავლებელს და დროებით დატოვებული პქონდათ სამეურნეო, პარტიული თუ პროფესიული მოღვაწეობის ფრონტი. ამიტომაც მიძვრებოდნენ ისინი სხვადასხვა სასწავლებლებში. ამ მხრივ, სამრეწველო აკადემია ფრიად მოხერხებული თავშესაფარი გახლდა, რადგან მსმენელებს პქონდათ საკმაოდ მაღალი სტიპენდია, არც თუ ურიტო სასაიდლო და კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი. თითოეულს თავისი ოთახი პქონდა, ზოგიერთი ჯიბიდან გავარდნილი მუხრე კი ორი ოთახის მიღებას ახერხებდა და იქ ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.”

– ამხანაგო, თქვენ რატომ არ ადგენთ კონსპექტს? – ჰკითხა ნიკიტას მასწავლებელმა.

ეს შეკითხვა იმდენად მოულოდნელი გახლდათ, რომ ნიკიტა დაიბნა, თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და არ იცოდა რა ეპასუხნა.

– თქვენ გეკითხებით, ამხანაგო ხრუშჩოვ? – თქვა მასწავლებელმა, – იმდენად გართული ხიხართ ლექციაზე, რომ მიწადა გკითხოთ, ხელს ხომ არ გიშლით?

ნიკიტამდე როგორც იქნა დავიდა, რომ შეკითხვა მას ეხებოდა და ერთი პირობა ისიც კი მოეჩვენა, რომ მასწავლებელი მის ფასეულ აზრებს ჩააწვდა. გარკვეული დრო დაბნეული იდგა ჩემად, შემდეგ კი, მისდა მოულოდნელად, აფეთქდა.

– არა, იყვირა მან, – თქვენ მე ხელს არ მიშლით, აი, მე კი ხელს გიშლით. მე მეშახტე ვარ, მუშა კაცი. თქვენ ლექციას კითხულობთ და ერთი სიტყვითაც არ გიხსენებიათ პარტიის ბრძოლის თაობაზე მემარჯვენე უკლონისტებთან. თქვენ ზუსტად ხართ!

ეს გახლდათ ხრუშჩოვის პირველი თავდასხმა, როცა მან თავისი სრულიად უსაფუძვლო და აბსურდული ბრალდებით რეტი დაასხა ადამიანს. მომავალში ამ მეთოდს იგი გამოიყენებს ბერიას, ყუკოვის, მოლოტოვის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს იქნება მოგვიანებით, ახლა კი იგი ტკბობდა იმით, თუ რა გავლენა

იქონია მისმა ბრალდებამ გახვეწილ მასწავლებელზე.

– თქვენ, ამხანაგო ხრუშჩოვო, არ გაქვთ ამგვარი შენიშვნის გაკეთების უფლება, – თქვა მასწავლებელმა, – ჯერ ერთი, მე თქვენთვის არავითარი საბაბი არ მომიცია, მეორეც, პარტიულ საკითხებზე დისკუსიები უნდა კამარტოთ პარტიულ კრებებზე და არა გაკვეთილების ჩატარების დროს.

ამ შენიშვნას ნიკიტა არ აუღელვებია. – ეს თქვენ ფიქრობთ ასე, – თქვა მან, – პარტია კი სხვაგვარად ფიქრობს.

ეს გახლდათ დაუფარავი შანტაჟი. ხრუშჩოვს ელემენტარული წარმოდგენაც კი არ პქონდა იმაზე, თუ რას ფიქრობს პარტია, მაგრამ უნდოდა შეექმნა იმის ილუზია, რომ კარგად ერკვევა პოლიტიკის საკითხებში და იცის, თუ რა ხდება იქ, ზემოთ.

მაგრამ მსმენელებმა მასწავლებელს დაუტოვეს მხარი და შეეცადნენ აეხსნათ ნიკიტასათვის, რომ არ შეიძლება სწავლის აღრევა არც მემარჯვენე და არც მემარცხენე, ან სხვა რომელიმე უკლონისტთან. სწავლა არის სწავლა და, საერთოდ, ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. მაგრამ ნიკიტა ჯიუტად მაინც თავისაზე იდგა და არაფრის მოსმენა არ უნდოდა. იგი მოხარულიც კი იყო, რომ თავის გამომჩინისა და ამ “პირწავარდნილ მემარჯვენეთა” დამცირების შესაძლებლობა მიეცა.”

– თქვენ აქ ყველანი ზუსტად იმედი და რიკოველები ხართ, – გაჰყვიროდა იგი. – თქვენ წინააღმდეგი ხართ პარტიის ხაზის და სტალინის იდეოლოგიას.

უკანასკნელი ფრაზა შორსმდებარე მიზნისაკენ იყო გასროლილი. აკადემიაში სწავლობდა სტალინის მეუღლე ნადეჟდა ალილუევა, და იგი ხრუშჩოვის მიერ გათამაშებული ამ სცენის მოქმე შეიქნა. “იგი აუცილებლად მოუთხოვრობს სტალინს აკადემიის თაობაზე, – ფიქრობდა ნიკიტა, – და აუცილებლად ახსენებს ჩემს გვარს. სტალინი შეიტყობს ჩემი არსებობის შესახებ...”

– მე ამას ასე არ დავტოვებ, – აგრძელებდა მუქარას ხრუშჩოვი და ნადეჟდა სერგეის ასულს მისჩერებოდა, – თქვენ აკადემიაში სასწავლებლად კი არ მოხვედით, აქაურობას თავი შეაფარეთ, რათა სამუშაო ადგილებზე თქვენი ჰემო-მარტი მიხნების თაობაზე არაფერი შეექმნათ. – აკადემია თქვენთვის შირმაა – აქ კარგად იკვებებით, შესანიშნავი საერთო საცხოვრებელი გაქვთ, მაგრამ მე, თქვენ... ნიკიტას სუნთქვა უჭირდა, მაგრამ მაინც ბევრს და ხმამაღლა ლაპარაკობდა, მართალია, მისი საუბრიდან აზრის გამოტანა შეუძლებელი იყო, მაგრამ ნიკიტას ერთი რამ ადებდა: მის საუბარს ისმენს ნადეჟდა ალილუევა, რომელიც ყველაფერს მოუყვება სტალინს. ეს გახლდათ ნიკიტას სითამაშის საფუძველი. თანაკურსელები და პედაგოგი მას საკმაოდ შიშორეული გაცოდებით უმზურდნენ, რადგან არავინ იცოდა, რას მოიმოქმედებდა იგი.

მაგრამ მალე ისინი დარწმუნდნენ, რომ ხრუშჩოვისაგან მოსალოდნელია ყველაფერი და იგი ყოველგვარ სისაძაგლზე წამსვლელია.

აკადემიაში ემზადებოდნენ პარტიული კრებისათვის, სადაც უნდა აერჩიათ რაიონული კონფერენციის დელეგატები. ხრუშჩოვი სიტყვით გამოსვლისათვის ემზადებოდა. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. კრების წინაღმდეგ იგი მიიწვია პარტიურის მდივანმა ლავროკინმა და შესთავაზა, რომ წასულიყო კოლმეურნეობაში, რომელზეც აკადემიას შეფობა პქონდა ნაკისრი.

– ხალხთან იქონიე კავშირი, – უთხრა ლავროკინმა, – მერე ჩვენც ვნახავთ, რითი შეგეძლებოდა მათ დახმარებას.

ხრუშჩოვი გაახარა ამგვარმა დავალებამ. “უნებოდ არ შეუძლიათ, – გაიფიქრა მან, – ჩემი იზოლირება ვერ მოახერხეს”.

მაგრამ, როცა მივლინებიდან დაბრუნდა,

ნიკიტა მიხვდა, რომ მას გვერდი აუარეს. მის იქ არყოფნაში გაიმართა პარტიული კრება, სადაც აირჩიეს ზაუზინის რაიონული კონფერენციის დელეგატები. არჩეულთა შორის იყვნენ სტალინი, ბუხარინი, რიკოვი... ხრუშჩოვი ბედს შეურიგდა, რადგან სხვა გზა მას არ პქონდა.

მივლინიდან დაბრუნების მეორე დღეს მას დაურეკა “პრავდას” მთავარმა რედაქტორმა მეხლისმა და სთხოვა, რომ ხელი მოეწერა ერთი პატარა წერილისათვის. თუ ხრუშჩოვს ვერწმუნებით, იგი დიდხანს უარობდა იმ მიზეზით, რომ ეს წერილი ჩემი დაწერილი არ არისო, მაგრამ ბოლოს დათანხმდა.

ახლა თავად ხრუშჩოვს მოეუხმინოთ: “მეორე დღეს “პრავდა” გამოვიდა, რომელშიც ჩემი კორესპონდენცია იყო გამოქვეყნებული. ეს იყო მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე. სამრეწველო აკადემია აფუთფუთდა, ჩაიშალა მეცადინეოები, ყველა პარტჯგუფი კრების ჩატარებას ითხოვდა. პარტიურის მდივანი ლავროკინი იძულებული გახდა ჩატარებინა ეს კრებები.

პარტიული ორგანიზაცია შუაზე გაიხლიჩა. სამრეწველო აკადემიაში სწავლობდნენ აპოლიტიკური ადამიანები, რომელთაცან ზოგიერთს ფრიად საეჭვო რეპუტაცია პქონდა. ზოგიერთ მათგანს მე ვიცნობდი – ჩვენები იყვნენ, დონეცკიდან. მოდიოდნენ და მეკითხებოდნენ: “რატომ ურევ სიტუაციას?”, “რა გინდა?”. მე ვპასუხობდი: “მისმინე, შენ ხომ წარმოდგენა არ გააჩნია, თუ ვინ არიან “მემარცხენეები” და “მემარჯვენეები?”.

ეს კრება ყველაზე შთამბეჭდავი იყო. სწორედ იქ ამირჩიეს მე პრეზიდიუმში და გავხდი კრების თავმჯდომარე... კრება დასრულდა იმით, რომ უკან გამოიხმეს კონფერენციის ყველა დელეგატი: ბუხარინი, რიკოვი... ყველანი, გარდა სტალინისა. ამის შემდეგ აირჩიეს ახალი დელეგატები, მათ შორის მეც.

მე ამირჩიეს (არ მახსოვს, როგორი უმრავლესობით) ბიუროში და პარტიული ორგანიზაციის მდივანად. სწორედ მაშინ გავშალეთ აქტიური ფრონტი “მემარჯვენეთა” წინააღმდეგ. მოსკოვში ხმები დაიბნა, რომ სამრეწველო აკადემიაში დიდი დაპირისპირებაა”

რატომ დაურეკა მეხლისმა ხრუშჩოვს? ვისგან და რა შეიტყო მან ხრუშჩოვის თაობაზე? გვაქვს სერიოზული ვარაუდი, რომ მეხლისამდე ინფორმაცია მიიტანეს კაგანოვიჩმა და სტალინის მეუღლემ. პირველი – მისი მფარველი იყო, მეორე კი უშუალოდ ესწრებოდა აკადემიაში, მეცადინეობისას, ხრუშჩოვის გალაშქრებას “მემარჯვენეთა” წინააღმდეგ. ნათელია, რომ სწორედ “პრავდაში” გამოქვეყნებული ინფორმაციის შემდეგ შეუდგა ნიკიტა აკადემიაში აქტიურ პარტიულ მოღვაწეობას. ნიკიტას თავებურ დაახვია მისმა არჩევამ აკადემიის პარტიურის მდივანად. იგი უსწორდებოდა ყველას, ვინც დასცინოდა და მისი კანდიდატურის წინააღმდეგ გამოდიოდა.

– რომელია თქვენი ხაზი? – ჰკითხა მან აკადემიის მსმენელ პახაროვს, პარტიის ვამდე პახაროვი იყო იუზოვსკის ქარხნის დირექტორი და, ბუნებრივია, და ნიკიტა მას მხოლოდ შორიდან თუ ხედავდა. პახაროვი კი, უბრალოდ, ნიკიტას ვერ ამჩნევდა.

– რატომ ხარ ჩემად? – უტევედა ნიკიტა და თან სტალინის მეუღლეს უყურებდა. – მე ვიცი, რატომაც ხარ ჩემად. შენ მემარჯვენე ხარ.

– ასეთი დასჯენის რა საფუძველი გაგაჩნია? – შეეკითხა ბრალდებულმა.

– ყოველნაირი საფუძველი გამაჩნია, – დიმიდლი უთხრა ნიკიტამ, – მაგრამ ამის შესახებ ჯერ არაფერს გეტყვი.

ეს გახლდათ დაუფარავი შანტაჟი. ამ საუბრის შემდეგ პახაროვი დიდი ხანი ვერ მოვეო გონს და მხოლოდ იმაზე

ფიქრობდა, თუ როდის, სად და რა მიპქარა.

ოცდაათ წელზე მეტი ხნის შემდეგ ხრუშჩოვი სინდისის ქნჯნის გარეშე ისხენებდა, თუ როგორ გააუწორა ანგარიში აკადემიის მსმენელ მაკაროვს, პარტიის წევრს 1905 წლიდან. “მას (მაკაროვი), – წერდა ნიკიტა სერგეის ძე, – ოფიციალურად არასოდეს განუცხადებია, რომ მხარს უჭერდა “მემარჯვენეებს”, მაგრამ ფაქტია, რომ “მემარჯვენეთა” მხარეს იდგა და მათ საწინააღმდეგოდ არასდროს არაფერი უთქვამს. როგორც ჩანს, იგი საიდუმლოდ მოელაპარაკა “მემარჯვენეებს”, რომ ღიად გააკრიტიკებდა ხოლმე, მაგრამ ფაქტიურად ოპოზიციაში დარჩებოდა. ითვლებოდა, რომ იგი მხარს უჭერს პარტიის გენერალურ ხაზს, თავისი მოღვაწეობით კი აძლიერებდა უგლანოვის, ბუხარინის, რიკოვის ჯგუფებს”.

ახლა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რისი გადატანა მოუხდა მაკაროვს. მას არასდროს გადაუხვევია პარტიის გენერალური ხაზიდან, ნიკიტა კი მას ბრალს სდებდა “მემარჯვენეებთან” ალიანსში. მას არასდროს უწარმოებია მოლაპარაკებები მემარჯვენეებთან, ნიკიტა კი სწორედ მემარჯვენეებთან მოლაპარაკებებში სდებდა ბრალს.

– შენ ცბიერი ადამიანი ხარ, – აკეთებდა დასკვნას ხრუშჩოვი, – მაგრამ მე შენ გამხილვე: შენ ბუხარინელი ხარ!

მხოლოდ ნიკიტას მიერ გამოთქმული ვჭვის საფუძველზე მაკაროვი გარიცხეს პარტიის რიგებიდან და დაითხოვეს აკადემიიდან.

– რაღაც საეჭვოდ დაგიბრბის თვალები აქეთ-იქეთ, – ეუბნებოდა ხრუშჩოვი აკადემიის მსმენელს, – აშკარაა, რომ შენ რიკოველი ხარ. მე ვერ გამაცურებ. ყველაფერს შენს თვალებში ვკითხულობ. შენ მემარჯვენე ხარ.

მოგვიანებით, როცა ნიკიტა განაცხადებს პიროვნების კულტის თაობაზე, “თვალების აქეთ-იქით სიბრბილეს” ბრალდებას იგი სტალინს წაუყენებს.

სწორედ აკადემიაში ჩამოაყალიბა ხრუშჩოვმა ძირითადი სტრატეგიული იარაღი, რასაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეფექტურად იყენებდა – შანტაჟი, სიცრუე, ცილისწამება...

აი, აკადემიის ერთ-ერთი მსმენელის ასხნა-განმარტებით ბარათი, რომელსაც ნიკიტამ ბრალი დასლო ოპოზიციურ საქმიანობაში: “ხრუშჩოვის მიერ გავრცელებული ხმების საპირისპიროდ ვაცხადებ, რომ საფეიქრო ფაბრიკაში არავითარ ფრაქციულ სამიანობას არ ვეწევი, ჩემი ძმა, რომელთანაც მუდმივი კავშირი მაქვს, არ იყო მეფის არმიის ოფიცერი და ყველა ეს ფაქტი გახლავთ თითიდან გამოწოვილი თავხედური სიცრუე”.

არსებობს იმის ვარაუდი, რომ ნიკიტას გაცენეს ეს ასხნა-განმარტება. ვიცით რა, თუ რისი შეადრებელი გახლდათ ნიკიტა, წარმოვიდგინოთ როგორი საუბარი შედგებოდა მათ შორის. უჭკველია, რომ ნიკიტა თავისაზე იდგა ჯიუტად, მსმენელი კი თავის უდანაშაულობას ამტკიცებდა.

– შენ მოგიწევს იმის დამტკიცება, რომ ოპოზიციონერი არა ხარ და კავშირი არ გააჩნია შენს თეორეგარდით დმასთან.

– და ეს როგორ უნდა გავაკეთო? – შეეკითხა ნიკიტას მიერ ფრაქციონერად დადღასმული მსმენელი. – ეს ხომ იგივე ვამტკიცო, რომ აქლემი არა ვარ.

– ვერაფერს გეტყვი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დამტკიცო, რომ აქლემი არა ხარ, – უთხრა ნიკიტამ, – მაგრამ პარტიის გეხს შენ მხარს არ უბამ.

ხრუშჩოვის გადარწმუნება შეუძლებელი იყო. მას საკუთარი ლოკო და შეფასებები გააჩნდა. “ორი თვეა, თქვენი წინეს ქვეშ ვიმყოფები, – პირდაპირ უცხადებდა მას მორიგი მსხვერპლი-მსმენელი, – რა გინდათ ჩემგან?”

თარგმანი როლანდ ჯალალნიასი, (გაგრძელება იქნება)



ვასო ცალანი — სპანური ნარკოზომის ღირსეული ქართული დღის სეზონიდან

კვირის ცალკე ტომეტი

1997 წლის ივლისის დასაწყისში დამირეკა ჩემმა სიძემ: ვასო ცალანი შემოგთვალა, ამოვიდეს და თავისი მანქანა ჩაიბაროს!

— როგორ! ჩემი მანქანა ისევ მასთანაა?! — კინაღამ მიუღიო ხმით ვიყვირე ამ მოულოდნელობით გაკვირებულმა (სხვათაშორის, სხგებნიც ძნელად იჯერებდნენ ჩემს მონაყოლს).

— დიახ, მეც გამიკვირდა. დიდი ხანია, გეძებ. როგორც იქნა, მე დამიკავშირდა და ესაა, შენ გაცნობე.

გავოგნდი, ყურებს არ ვუჯერებდი. იმ ხეობაში, რომელიც ნამდვილ ჯოჯოხეთად ეძღვა აფხაზეთიდან დევნილებს, ასეთი რამ, ნუთუ, შესაძლებელი იყო?!

...1993 წლის 24 სექტემბერი, სოხუმში განერება შეუძლებელია... აეროპორტისკენ გავწვიეთ, მაგრამ ახლოს ვერ მივდიეთ, იქაურებაც იბომბებოდა. სოფელ ფშაფში მივბრუნდით — რევაზ აბსაევას შევაფარეთ თავი...

გათენდა 25 სექტემბერი, არავითარი იმედი, ირგვლივ სისხლისა და სიკვდილის სუნი ტრიალებდა. დრანდა გადაკეტილი იყო. ერთადერთი გზა გვჩვენებდა სამშვიდობოს გასაღწევად — დალის ხეობა. ნაშუადღევს ქოულის მარკის ორი მანქანით 12-მდე დევნილი დავიპარეთ ფშაფიდან.

დალის ხეობის ბოლო სოფელი — საკენი. უკვე სიბნელე წვეს ხეობაში. გზის პირას, ხელმარცხნივ, ორი მამაკაცი საუბრობს. მივსალმე და ვკითხე — კიდევ სადამდე შეიძლება ამ მანქანებით ვიაროთ-მეთქი. სათვალვანმა, სიმპარტურმა ჭადარა კაცმა, სახით გზისკენ რომ იდგა, მიპასუხა: სოფელი აქ მთავრდება, გზა ცუდია, შორს ვერ წახვალთ, ვხედავ, ბავშვები და ქალებიც გახლავთ თან, ღამეს ღია ცისქვეშ ხომ არ გაატარებთ, აქ მთაა, უკვე ცივა, ცოდვები ხართ, დიდი სახში მარჯვნივ, ყველანი დავეგვიტოვებ, ჩემთან გაათითეთ ღამე. გულწრფელმა მიპატიჟებამ გატარა...

— ვასო ცალანი — ასე გაგვეცნო მასპინძელი, გაგვაცნო ოჯახი, ჩვენც გავიცანით... დიდებულად გვაგვახშიეს. სუფრასთან ბატონმა ვასომ ღრმა გულმინტკივლის გამოთქვა მომხდარის გამო. ქართულეებსა და აფხაზებს შორის ეს არ უნდა მომხდარიყო, რა გვაქვს გასაყოფი, როგორ ვერ გავთვალეთ შედეგი, მომავალი მწარედ განგვიკითხავს ორივეს. აუგად კი არავინ უხსენებია.

ნაკვამივეს ბატონი ვასოს მეუღლე ჩვენთვის სახვადიოდ საგზლის მომზადებას შეუდგა, ქალიშვილმა კი მორე სართულის ოთახებში მოგვათავსა ყველანი და მშვიდი ძილი გვისურვა.

26 სექტემბერის შუადღისათვის მზად ვიყავით გასაბეზვრებლად. ვხედავ, ბატონი ვასოც გამოიწყო: ჭუბერამდე შორია, ადგილი თქვენთვის უცნობია, თანაც უკაცრიელი, არ მინდა ჩემი ოჯახიდან გასულელები რაიმე უსიამოვნებას გადაეყარათ. ეს კი ჩვეულეობით მასპინძლობას სცილდებოდა!

ზუსტად 18 საათზე საკენ-ჭუბერის უღელტეხილის გადასასვლელზე ვიყავით. გზაზე მშვიდად ვიარეთ, არავინ შეგვხვდებოდა. გზის ნახევარზე მეტი გავილი გვქონდა. მასპინძელს ვთხოვეთ, გაბრუნებულიყო. დარწმუნებული, რომ გზა უხიფათოა, დაგვეთანხმდა. მადლობა მოვახსენეთ და დავემშვიდობეთ. მანაც კეთილი მგზავრობა გვისურვა, მე და ჯემალ ვახანიას კი გვითხრა — მანქანებს უთქვენოდ არავის გაგატანო. სიმართლე გითხრათ, ეს მაშინ დაკლებად გვადეღებოდა. მანქანების გზაზე დატოვება მოგვიწვედა მაინც...

დავეშვით დაღმართზე. აქა-იქ გვხვდებოდნენ ტვირთიანი სვანები, ღამდებოდა, შინ ექპარებოდნენ, გვებოდიშებოდნენ მორიდებით, რომ ვერაფრით გვშველოდნენ. მალე გზის პირას კოცონი გავაჩადეთ და ვივარდით. საგზალი მოსალოდნელზე უხვი აღმოჩნდა: შინ გამომცხვარი პურები, ხაჭაპურები, კუბდარები, ყველი, მოხარული კარტოფილი, არაფერიც კი...

გათენებულზე, რაღაც ნახევარ საათში, ჭუბერში ვიყავით, იქიდან — ხაიში — ზუგდიდი და... ცხოვრება თავისი გზით წამდინდა...

მომდევნო წლის ივლისში ჯემალ ვახანიამ მამცნო — ჩამოვიყვანეთ მანქანა, თანაც დაუმატა: ვასოს ეზო და მიმდებარე ტერიტორია გადავხვებულა მანქანებით, ის კი მოუთმენდა ელისო მათ პატრონებს. როცა გავიგე, თუ რამდენი ჯდებოდა სატვირთოს დაქირავება მსუბუქი მანქანის გადმოსაყვანად, იმჟამად ამას ვერ შევძლებდი. კიდევ ერთი წლის შემდეგ, სულ ცოდილო, ვი-

ფიქრე, მანქანა აწი მაინც არ დამხვდებოდა. უკვე გამოვიგლოვე სოხუმში გატარებული 27 საუკეთესო წელი ჩემი ცხოვრებისა, იმასთან შედარებით, რაც იქ დაეტოვებოდა. რა სახსენებელი იყო და შედარებით ადვილად შეველიე, საბოლოოდ ჩავიქინე ხელი...

...სიძის ზარმა კი ძალიან ამაფორიაქა. ასეთ გაგრძელებას ნამდვილად არ ველოდი. ამჯერად მტკიცედ გადავწყვიტე საკენს გამგზავრება და არა მხოლოდ მანქანის გამო (მენდეთ გულწრფელობაში, ჩემს მდგომარეობაში მყოფისთვის მანქანა გარკვეული მატერიალური ფასეულობა გახლდათ, მაგრამ, ვიმეორებ, ეს არ იყო მთავარი. უნდა მენახა კაცი, რომელმაც სრულიად უცნობ პიროვნებას 4 წელი შეუნახა ის).

მეორე დღესვე დავეუკავშირდი ბატონ ჯემალ რაფაევას (ავხ. ა/რ შ/ს მაშინდელ მინისტრს (სამწესხაროდ, დღეს ის ცოცხალი არაა, ნეტარსხენება მას!) და მისი ხელშეწყობით დავადექი გზას საკენისკენ. გაიხარეს ცალანებმა, დაკარგული სისხლისმიერი ახლობელი სწევოდეთ თითქოს...

ეზოში სამოდე მანქანა იდგა მხოლოდ. ბატონი ვასო მიმიხვდა ფიქრს და მეუბნება: მთელი ეზო და მიმდებარე ტერიტორია საესე იყო, 50-მდე სხვადასხვა მარკის მანქანა იდგა. ვიდრე დევნილთა უკანასკნელმა ნაკლამა არ ამოიარა ხეობა, დღე დაღამე ვდარჯობდით. 1994 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ბლომად წაიყვანეს მფლობელებმა თავიანთი მანქანები, მაგრამ მაინც დარჩა თითქმის ნახევარი. ზოგის პატრონს ვიცნობდი, ზოგისას კი მხოლოდ სახელი და გვარი ვიცოდი, მიუხედავად ამისა, მოვახერხე და, ამ სამის გარდა, ყველა დავეუბრუნე პატრონებს. ახლა ამ ორისას ვეძებ. აქ ბატონმა ვასომ ეშმაკურად ჩაიციინა, თითქოს მიმიხვდაო წლების წინანდელ დაქვებებს და განაგრძო: იქნებ, ისინიც თქვენსავით ფიქრობენ: ალბათ, აღარ დაგვხვდებოდნენ აწი ჩემი მანქანები. ესეც ვეღარ ჯდებოდა ჩვეულებრივი მასპინძლობის ფარგლებში! ხოლო, როცა ჩემი მოკრძალებული მოსაკითხი გამოვჩინე, გულწრფელად იყინა — შე, კაცო, მობარებულის შენახვისათვის საფასური როგორ გადაგხდებოდა, ხომ მომეჭრა თავი სირცხვილისკენი. ამასობაში მის ვაჟებს ხბო

გაეტყავებინათ და ოჯახისათვის ჩვეული სანაქებო პურ-მარილი გაიშალა. მასპინძელმა მეზობლებიც დაპატიჟა, მეც აჟარიდან ამოსული ორი ახლობელი მახლდა, სუფრას მივუსხედით. კარგი კახური ღვინო მქონდა თან წადებოდა. ღვინო თქვენია და თქვენვე უნდა ითამაშოთ — განაცხადა ოჯახის უფროსმა. რაკი პირველად არ ვიყავი ამ ოჯახში და თანაც კარგად ვიცნობდი სუფრის წყევანის სვანურ წესს, მივიღე შემოთავაზება. ძალიან ამაღლებული განწყობა დაგვეყვლა ყველას, სადღეგრძელოები ხალხით ისმებოდა. როდესაც დალის ხეობის სადღეგრძელო ავიდა, თითქოს რაღაც ქროთირაო, სიტყვა მასპინძელმა ითხოვა:

— მე არ მოვაწყენთ თავს ამ ხეობის ისტორიის მოყოლით, ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი ერთი ჩვეულებრივი, უფლისაგან სიღამაშით უხვად დაჯილდოებული ხეობათაგანია, ცოტა მკაცრი, როგორც ყველა მთის ხეობა. სადამდეც ჩემი მესხიერება სწვდება, ეს კუთხე დამშვენებული იყო მშვიდი, პატიოსანი და გამრჯე ადამიანებით. საუცხოო მეზობლობა და თანადგომა იცოდნენ. მეც აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, აქვე დავოჯახდი, ჩემი შვილებიც აქ დაფორთიანდნენ. ბუნებრივია, მეც მიყვარს ჩემი მშობლიური კუთხე. ბოლო დროს ეს მეუღრო და მშვიდობიანი ხეობა აირია. თმმა მოიტანა ეს უბედურება, ომმა და სისხლმა, თუმცა, რაც მოხდა, იმის გამართლება არაფრით არ შეიძლება! ზოგიერთმა ხეობელმა, ვინც ვერ გაუძლო ცდუნებას, ისარგებლა ბედისაგან განწირული ადამიანების უმწუბრებით (თითქოს ის არ ეყოფოდათ იმ უბედურებს, სახეზე დიაცის წინდებამოცმული უსინდისი მეზობელი რომ აყინებდა, აქაოდა, მაინც ხეობელებს დაბრალდებოდა) და იმის მაგივრად, სასოწარკვეთილი მოძმეებისათვის დახმარების ხელი გაეწოდებინა, შეირცხვინა თავი, შეურაცხყო ოჯახი და ღამეში ამოსვარა ხეობის პატიოსნება. ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა იყოს! ჩემი საყვარელი კუთხე სასტიკად შერცხვნილია. რით ჩამოვირეცხავთ ამ სირცხვილს? ან რა შეგვარბევს ქართველებსა და აფხაზებს? რა ვუთხრათ ჩვენს წინაპრებს, როცა ამქვეყნიდან წავალთ?

— თითქოს სიტყვებს გულიც ამოაყოლოდა, ფრაზებს სვენებ-სვენებით ამბობდა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩვენი, მხერას გვარიდებდა, უკეთურთა მიერ ჩადენილის გამო გვებოდიშებოდა ეს დიდებული პიროვნება და ხეობის სინდის-ნამუსის სარანგი, ხევისთვის დონეზე მდგომი ჭეშმარიტი მამულიშვილი. აშკარად ეტყობოდა, რომ სულის სიდრემდე იყო შექრწუნებული ხეობაში და, საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული უბედურებით. ღვინო არ დაუღვია, საესე ჭიქა მაგიდაზე დადგა და დაჯდა. სამარისებურმა სინდისმა დაისადგურა. არავინ არ იდებდა ხმას... ისევე ბატონმა ვასომ განმუხტა სიტუაცია — სასმისი აიღო, წამოდგა, თავი მადლა ასწია, თვალები ზეცას მიაპყრო თითქოს, და დაღაძკვით: დემტო დიდებულო, გაანათლე მათი სულელები, ვინც ამ ხეობაში უსაშველო წამებითა და დამცირებით გამოეთხოვა სიცოცხლეს! დემტო დიდებულო, გაანათლე მათი სულელები, ვინც ამ ძმამთკველ ომს პატიოსნად შეეწირა! სხვები?.. სხვებს კი უფალმა შეუნდოს! სასმისი გამოსცალა, მაინც იმედინად ვიყოთ — ცოტა თამამი კოლოთი გაგვამხნევასავით, დაჯდა, შემოხვდა და მანიშნა — განაგრძეო სუფრა...

...მეორე დღეს მასპინძელმა ჩემი მანქანის საბარგულში ჩადო ერთი ტომარა კაკალი და რამდენიმე ცალი სულგუნი, თითო, ალბათ, კილო-ნახევარიანი და ძმისშვილს სთვარდა, დამხმარებოდა ჭუბერამდე მანქანის გადაყვანაში...

ჭუბერიდან თბილისამდე დიდი გზაა და საკმარისზე მეტი დრო მქონდა ფიქრისათვის. ბევრი დეტალი გავიხსენე, მაგრამ მათზე ახლა აღარ ვისაუბრებ, როგორმე სხვა დროს, თანაც ისინი ბატონ ვასოს ნაკლებად ეხება.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩემთვის საბოლოოდ ჩამოიქნა ბატონი ვასოს სრული პორტრეტი. პატიოსანი, უანგარო, მოსიყვარულე, სამართლიანი, უშურო, თანამდგომი, უდალატო, სამშობლოს ბედ-იღბალზე უფლად, მარადიულ დიუნებულეებზე ორიენტირებული, ჭეშმარიტად კეთილშობილი რიგითი მოქალაქე — ასეთად დამკვიდრდა ჩემს წარმოდგენაში მისი ხატება, რომელიც, აგერ, უკვე 27-ე წელია, თვალწინ მიდგას. საუკუნეების განმავლობაში სწორედ ბატონი ვასონია იცავდნენ იცავდნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, დარჯობდნენ მის მადლხეობასა და ღირსებას. სწორედ მისნაირებმა სიცოცხლის ფასად გამოარიდეს ათას ქართველი ჩვენი სამშობლო... და დღეს, როდესაც, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, მოწმინდა გავხდით ქვეყნად გულარძილთა და უმადურთა, გაუტანელთა და განუკითხავთა გულისამრევი პარპაშისა, კეთილი ნების ადამიანმა, ჩემი ღრმა რწმენით, ისევე ბატონი ვასოსნაირი კაცები უნდა გაიხადოს უმთავრესი სანიშნე!

...საბედუროდ, დალის ხეობაც დაეკარგეთ... ჩემდა სირცხვილად, მე დღეს არ ვიცი თქვენი ასავალ-დასავალი, ვასო ბატონო. ის მანქანაც დამავიწყდა, რადგან უკვე გავიდა მწუბორიდან, ბევრი რამ მიეცა დავიწყებას, მაგრამ მასხოვხართ თქვენ — ვასო ცალანი — კეთილშობილი პიროვნება, კაცური კაცი, სვანური წარმოშობის ღირსეული ქართველი დალის ხეობიდან. დემტომა უმრავლოს საქართველოს თქვენ-ნაირები!

რევაზ სალია, ფილოლოგის დოქტორი

მინაწილი: სირცხვილის გრძობა მაწუხებდა, რომ არ ვიცოდი შემდგომი ბედი ამ დიდებული ადამიანისა. იდგა, 2017 წლის 20 მარტს დაეუკავშირდა ასევე გულანთებულ მამულიშვილს, ბატონ აკაკი გასვიანს, რომელსაც ჩემი სტუდენტობიდან მოყოლებული დიდ პატივს ვცემ. უზომოდ გავისარე, როცა გავიგე — ბატონ ვასოს ერთი დღითაც არ დაუტოვებია თავისი საყვარელი ხეობა და ამჟამად იქ ცხოვრობს (თუმცა სხვანაირად როგორ იქნებოდა?!). უღრმეს მადლობას მოვახსენებ ბატონ აკაკის ამ ფრიად სასიამოვნო ინფორმაციისათვის! მართალია, მე უხედეტი მტკიცებულება არ მჭირდება, ვასო ბატონო, თქვენი კაცურკაცობის საბუთად, მაგრამ ძალიან გამიხარდა მაინც! დიდი ხნის სიცოცხლე და ბედნიერება თქვენ! ვეცდები, მოვწვინოთ ხმა და გნახოთ კიდევ. მომიკითხეთ თქვენი დიდებული ოჯახი! პატივისცემით,

რევაზ სალია

ირო ორდათ ჯიმაღურო

ირო ორდათ ჯიმაღურო, სამარგალო სკუაღეფ. ართიანსუ დალატიოთუ, ველეოსოფათ ფსუაღეფი. ჩქი გართალი მუ მიღუნა-ართი დიდაშ ნამრავლეფსუ. ართი ზისხირ დილაგდუნა, გურულეფს დო მარგალეფსი. შონეფ დო აფხაზეფი ჩქინი ჯვეში ჯიმაღუნა. ჩქინ მათხილარ არწიეფო გეალაშ წვანდის გიმარენა რაჭველეფ დო იმერლეფი მიმაგრენა ხასილასუ. ხანდენა დო დიდინუნა ვორუ დილა ვადილასუ. მისით ჩქინი აკორდეფა შურ დო გურთი ოკოლასუ. საქორთუშო ტერ გოხოლუ, ოცადუ ჩქინი აკორთასუ. ირო ვორდათ, ჯვირო ვორდათ ართო აკოშაყარელი. დღასი ვეკობციმედათ, ოი, შური საყვარელი!

ჩქიმი სკვაში ოლაპადე

ჩქიმი ჯიმაღუნა, თე ქიანას სოდა ვარდე. დღასი ვეშეყოლიდუ-სკანი სკვაში ოლაპადე. სამარგალო მარგალოშოთ, კუნთ გოხოლუ უსკვაშაში. თიშ ოსკელადარო, ვეცადათ სერ დო დღაში. ჩქიმი ჯვეში ისტორია, ჯვირო ვა რე გურაფილი. ვევიპტეშე თე ქიანას, ვორეთ ჩქი მოწურაფილი. ჩქინდე იჭყაფუ ქორთუეფიშ, საწოხორო გვარ დო ჯიში. მუშ მაკითხე მენცარს კელ ორქოშ ტყეში კირიშიში. არიანე, პეროდორე ჩქინ ქვეშ რინას ამტკიცენა არძას წოხოლე ჩქი ნომღვენა დინა, ნინა, ქრისტეშ რწმენა. სამარგალო გვალე შხვა რე, შხვა შურ ანთხანს თაქიან ვარდებს... დღასი ვეშეყოლიდუ, სკანი სკვაში ოლაპადე.

ბიში კველია, აბაშა

ჩემო ნაცრისფერო სამეგრელოვო

ჩემო ნაცრისფერო სამეგრელოვო, — ჩემო დეთაბერიეო სულე! გაჩენის დიდიან ჯილდოდ გერგო ცა მგლოვიარე, ცრემლის მდინარედ — ჯუში, ფახისი. ტყის ქათამიეთ ლაქაშუბის გერგო ლოკინი და ნებზე გიზის, როგორც მიმინო შენი წარსული. ცხენის ფაფარში გამოკრული გქონდა ქარივით შეიდი აბრავის შეიდი იგავი. სისხლით, ნაღველით შეგიდებეს ცა ჩალისფერი, ხმლით ანეხეს მედას ვარდი, ვით კოლხეთის მაცდური სული და ლერწმის წელზე შემოგარტყეს კვლავ მორჩილება. გამოგაყარა ჭაობად... ხაშმად... გაუთავებულ წვიმებად... მწუხრად... ღომის ყანებად, ბალახებად, ტყის ფრინველებად, მდინარეებად, ტბებად, ციხე-სიმაგრეებად, ცისარტყელებად, სიმღერებად, მწვანე ხეებად, ძროხის ჯოგებად, ცხენთა რემად, ფუტკრების ქოროდ, ოქროს საწმისად, აბრავებად, მამულშქებად ოჩოქრებად, მარეკებად, მეტიეებად, კარისკაცებად, ალქაჯებად, ღვთის მსახურებად — იმ შორეული წარსულის დილამ. ჩემო ნაცრისფერო სამეგრელოვო, — ჩემო თოლიგე, გამოდი ტყიდან, ჭალებიდან, ლაქაშე-ბიდან... დიაა სივრცე, გზად შიშველი ეკალი ყრია, არ დაგეკაწროს წინგოსფერი სხეული, სულე!

ბენო კალანდია

ნატოს შტაბ-ბინაში იზორიას ვიზიტიდან

საქართველოს ხელისუფლება და მედია სხიარულით გვაუწყებს თავდაცვის მინისტრის იზორიას ნატოს შტაბ-ბინაში წარმატებული ვიზიტის შესახებ. ვიზიტი, რომელიც წარმატებული იყო, ამაში ეჭვის შეტანა ნაკლებად შეიძლება, თუმცა გააჩნია რა კუთხით განვიხილავთ იზორიას იქ გამართულ შეხვედრებს. საქართველოს საგარეო კურსიდან თუ ვიმსჯელებთ, ვიზიტი შედეგადად გამოდგება, ვინაიდან კიდევ ერთხელ გაეცა ხაზი ქვეყნის ევროატლანტიკურ მიმართულებას და ისეთი ორგანიზაციისადმი გულწრფელ, სანდოობით აღსავსე დამოკიდებულებას, როგორც ნატო.

არის სხვა შეხედულებაც ნატოსა და ევროატლანტიკურ ვექტორთან მიმართებაში, რომლის მიხედვით, რაც უფრო მჭიდრო კავშირები იქნება ნატოსთან, მით უფრო უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება საქართველოსთვის. ნეგატიური განწყობა უმთავრესად იმითაც არის განპირობებული, რომ ნატოთი მონუსხული საქართველოს ხელისუფლება, ყოველგვარი დაფიქრებისა და ღრმა ანალიზის გარეშე უმალ თანხმდება ბრიუსელის ნატო შეხვედრებზე და ამ მოწვევა მინისტრიალზე.

როდესაც ნატოს მინისტრიალი გამოცხადდა არავინ იცოდა, რომ საქართველოს მიიწვევდნენ ამ შეხვედრაზე. ოპოზიცია, მისთვის ჩვეული ცინიზმით, აკრიტიკებდა ხელისუფლებას და აცხადებდა, რომ „პრორუსული“ ხელისუფლება ნატო შეხვედრებზე არ მოიწვია მინისტრიალზე.

არადა, მინისტრიალი იმით იყო გამოჩენილი, რომ პირველი შეხვედრა იყო აშშ-ს ახალი თავდაცვის მინისტრის მატისის, თავის ნატოელ კოლეგებთან. ნატოს წევრი ევროპული სახელმწიფოები დაზარალებული ელოდნენ მინისტრიალს და მასში ამერიკელი ბოსის მონაწილეობას, ვინაიდან ამ შეხვედრას უნდა გაეყვანა ამერიკა-ნატოს დღევანდელი და ხვალისთვის კავშირთა დასაბრუნებლის პარამეტრები.

ნატოს დაარსებიდან დაწყებული, ტრამპის აშშ-ს პრეზიდენტად არჩევამდე, ამ ორგანიზაციას არასდროს ჰქონია ისეთი კრიტიკული და გაუარესებელი მდგომარეობა, როგორც მინისტრიალამდე. ყოველივე კი გამოიწვია აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატის, შემდგომში პრეზიდენტის არაერთმა ანტინატოურმა განცხადებამ, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი: **“ნატო მოძველებული ორგანიზაციაა. ნატო ანაქრონიზმია. ნატო შექმნა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ. საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს და რატომ უნდა არსებობდეს ნატო. ნატო არაფერს აკეთებს ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. ნატოს წევრი სახელმწიფოები არ იხდიან საწევრო გადასახადს და აშშ-ი იძულებულია თვით**

არჩინოს ნატო. თუ ნატოს წევრი ქვეყნები არ გადაიხდიან საწევროს, აშშ-ი დატოვებს ნატოს...”.

ესოდენ კრიტიკული განცხადებების მოსმენა ერთობ ძნელი გამოდგება ნატოს წევრი ქვეყნებისა და ნატოს შტაბ-ბინისთვის. ამდენად აშშ-ს თავდაცვის მინისტრის ბრიუსელში გამოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვია იყო ბრიუსელის მინისტრიალში მონაწილეობა, ვინაიდან ხაზს უსვამდა ქვეყნის მნიშვნელობას ნატოსთვის და ნატოს დამოკიდებულებას საქართველოსადმი.

საქართველომ მინისტრიალში მონაწილეობის მიწვევა ბოლო წუთებში მიიღო და როგორც გამოხატვის ქვეყანა, ის დაესწრო მინისტრიალს, რის შემდეგ ნატო-საქართველოს სხდომაც გაიმართა. მინისტრიალი საქართველოსთვის იმითაც იყო გამორჩეული, რომ იზორია აშშ-ს ახალი თავდაცვის მინისტრის მატისის შეხვედრა ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა წარუდგინა იზორია მატისის და ამ უკანასკნელმაც სიტყვები არ დაზოგა საქართველოს საქმეზე: **“წევნ შეხვედრა ნატოს უახლოეს პარტნიორს – საქართველოს. მე გამოვხატე ჩემი აღფრთოვანება და პატივისცემა საქართველოს კონტრიბუციისა და გადებული მსხვერპლის მიმართ, რომელიც ამ ქვეყანამ გაიღო ნატოს ბრძოლის ველზე ავღანეთში”.**

საქართველო მართლაც იმსახურებს შეხვედრას. მან ავღანეთის ომს 31 წარსიკაცი შესწირა, ერაყისას – 5.

იზორიას აღტაცებას სახვდარი არ ჰქონდა და მან საქართველოს ახალი ამბავი ახარა – ამერიკა-საქართველოს არსებული მეგობრულ (სამწლიანი ჩარხო ხელშეკრულებით) ვაზიანში ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის მშენებლობა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ საწვრთნელი ბაზა გააძლიერებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და მდგრადობას. ეს ბაზა ისეთივე იქნება, როგორც გერმანიის ქალაქ პოენფელში აშშ-ს სამხედრო ბაზაა და სადაც იზორია შეხვედა ევროპაში აშშ-ს სამხედრო ჯარების სარდალს ბენ პოჯესს. ამერიკელი გენერლის დაპირებით ვაზიანის სამხედრო-სასწავლო ბაზაზე ამერიკელი სპეციალისტები გაწვრთნიან ქართველ ჯარისკაცებს.

გენერალი პოჯესი საქართველოს იშვიათი სტუმარი არ გახლავთ. ერთ-ერთი ვიზიტის დროს მან ასეთი რამ თქვა: „საწვრთნელ ცენტრში აშშ-ს სამხედრო მისიის სახეობა მონაწილეობის მიზანი ისაა, რომ შევამოწმოთ, აუცილებლობის შემთხვევაში, რამდენად სწრაფად მოვლენ ქართულ მიწაზე ამერიკის არმიის ქვედანაყოფები“.

ფრიად საყურადღებო განცხადებაა ნატოს მიმართ სეკუტიკურად განწყობილ პირთათვის, რომელთა რაოდენობა არათუ კლებულობს, არამედ მატულობს, რის შესახებაც სულ ახლახანს გვაუწყებდა ცნობილი ამერიკელი კვლევითი ცენტრის „გალაპის“ (Gallup) მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. მისი მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები თუ უჭერს მხარს ნატოში შესვლას. ასეთ დროს იზორიას, მასთან ერთად ხელისუფლების აღტაცება აშშ-ს თავდაცვის მინისტრის სიტყვებით და საწვრთნელი ბაზის მშენებლობით გამოწვეული, დიდად გამაღიზიანებელია.

თუ რა სწრაფად გადმოიხერის აშშ-ის თავის ჯარებს საქართველოში საომარი მოქმედებების საწარმოებლად, ერთხელ უკვე გამოცხადეთ – 2008 წლის ომის დროს. მაშინ აშშ-ს გარკვეული წრეების მიერ გაბრწყინებული სააკაშვილი, ტელეფონზე ჩამოკიდებული, ეხვეწებოდა ოკუპანებისგან დახმარებას, თუმცა ამაოდ, რასაც საკუთარი პალსტუხის დეჭვა მოჰყვა.

ამერიკელებმა დიდი პაუზის შემდეგ მართლაც მოაგვინეს სამხედრო გემები, ოღონდ სასმელი წყლით და ტუალეტის ქაღალდით დატვირთული. ამ უკანასკნელში (ტუალეტის ქაღალდში) მართლაც გაუმართლდა სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას, ვინაიდან ფაღარათშეყრილი, **“ნაშაგებული”** ჯიპებით **“წითელ”** ხიდს მიაწვდნენ, ქვეყნიდან გასაქცევად.

რაც მართალია, მაშინ ვაშინგტონმა, ფულის თვალსაზრისით, ხელგაშლილობა გამოიჩინა – მილიარდნახევარი დოლარი გამოვიყო დასახმარებლად და ოთხნახევარი მილიარდიდან დანარჩენი თანხა ევროპას გადახდევინა. ოღონდ ერთი – ეს თანხა ისე გააქროს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, არავინ იცის მისი ასევე დასავალი.

დაგუბრუნდეთ პოჯესის სიტყვებს აშშ-ს ჯარის საქართველოში გადმოსმისთან დაკავშირებით და წამით წარმოვიდგინოთ, რა დღეში აღმოჩნდება ერთი მტკაველი ქვეყანა, ომის ველად ქცეული, ორი გიგანტის შეჯახების შედეგად?

ნეტავი ვინმე, ამ ხელისუფლებაში ანგარიშს უწევს, რა მოჰყვება რუსეთთან კონფლიქტს და მასში ნატოს ან აშშ-ს სამხედროების ჩართვას? ნეტავი ვინმე უწევს ანგარიშს, რა შეიძლება მოჰყვება ვაზიანის სამხედრო-სასწავლო ცენტრის გახსნას? ის, რომ ვაზიანი რუსული რაკეტების მიზანში იქნება ამოღებული – ვინმეს ეჭვი ეპარება?

პოჯესი სამხედრო და მისი განცხადება რომ მილიტარისტულია, გასაკვირი არ არის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება

და პოლიტიკური პარტიებიც მილიტარისტულია? და თუ მართლაც ასეა, ნეტავი ერთხელ მაინც გარედან არ შეუხედავთ თავისი ქვეყნისთვის? და თუ შეხედვს, ვერ დაინახეს, რა მასშტაბისაა ის? ერთი რუსული ბალისტიკური რაკეტის ჩამოვდებაც კი საკმარისი იქნება უდიდესი მსხვერპლისა და საყოველთაო პანიკისთვის.

რა შედეგებია, მაგრამ გაგახსენებთ – ზვიად გამსახურდიას ჩენწითიდან, დასავლეთ საქართველოში ჩასვლას, სახალხო, მასობრივ, ხალხმრავალ მიტინგებს და თბილისზე ლაშქრობის მოწოდებას; რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტის სარდლის ბალტიის სამხედრო თვითმფრინავების მიერ, დაბალ სიმაღლეზე, სახალხო მიტინგის თავზე გადაფრენას. განანადგურებლების ძრავების გამაყრუებელმა ხმამ ისე დააშინა მომიტინგეები – წამში დაიფანტნენ და შემდგომში აღარ გამოჩენილან.

რუსეთი, საქართველოს ნატოში შესვლას ნეგატიურად განიხილავს და ყველანაირად ცდილობს ხელი შეუვიწროვოს ამ საქმეში. მაგრამ თუ, მიუხედავად ამისა, ქვეყანა მაინც შევა ამ ორგანიზაციაში (თუმცა მე დიდად მეჭვავება), გაგრავრებულ ტაფაზე აღმოჩნდება და რუსული ყოველდღიური აგრესიის ქვეშ მოუწვევს ცხოვრება. მუდამ შიშში ყოფნა დაზარავს ქვეყანის ისედაც განახევრებულ მოსახლეობას, რომელსაც სამუშაოს მიცემის შემთხვევაშიც, მუშაობის თავიც არ ექნება.

ისეთი პატარა და სუსტი ქვეყანა, როგორც საქართველოა, მეზობლებთან ურთიერთობას, მითუმეტეს დიდთან და ბრთველიარადიანთან, იარაღით კი არ უნდა არკვევდეს, არამედ ენით, ჭკუით და დიპლომატიით. ჩვენი ურთიერთობა ბრძოლის ველზე ასეთივე ყოველთვის მარცხით დასრულდება – ძალთა უთანაბრობის გამო. სხვაა მოსალაპარაკებელი მაგია. დიპლომატიურ მოლაპარაკებაში მუშტის ნაცვლად სიტყვა გამოიყენება და თუ გონიერება მოგვედევს, გამარჯვებაც მისაღწევი იქნება.

არადა, რა გამარჯვებაა ლაპარაკი? ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, ისეთზე, თუნდაც ორი საუკუნის განმავლობაში რომ გექნოდა. ამ ხნის მანძილზე იყო დადებითი და უარყოფითი, მაგრამ დადებითი რომ სჭარბობს, მტკიცება არ სჭირდება. მაშ რა გვიშლის ხელს ახალი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებად მაშინ, როდესაც რუსეთი მზადაა ამისთვის? ის, ჩვენ რომ დაბეჯითებით ვაყვიროთ – ნატო, ნატო და იქ შესვლას რუსეთის შიშით ვცდილობთ. იქნებ ამ შიშის მოსახსნელად პირდაპირ რუსეთზე გავსულიყავით?

ჭ. ჰამლეტიძე,
პოლიტოლოგი

რამდენიმე აპოლოგი იუბილარი პატრიარქის სსოვრებიდან

4 იანვარს სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დაბადების დღე იყო. კათოლიკოს-პატრიარქს 84 წელი შეუსრულდა... მართლმადიდებელ ერს ცხოვრების მამის დაბადების დღეს და მისი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს შევახსენებთ.

ბოლნისი ჩოხელი იხსენებდა: – უწმინდესზე რაიმეს თქმა თან ძნელია, თანაც – ადვილი. ძნელია იმიტომ, რომ უდიდესია მისი როლი ქართველთა სულიერ ცხოვრებაში. მან გაპარტახებული ეკლესია ჩაიბარა, ჩაფერფლილ სულიერ ღადარს სული უბერა და კოცონი ააგო ჩოხისა. უწმინდესის სახით ჩვენ ღვთის მადლი მოგვეკვლინა. მისი სიდიადე მერე, შორიდან უფრო გამოჩნდება. მასზე საუბარი ადვილი კი იმიტომ არის, რომ ყველას მიმართ საოცრად თბილი და ახლობელია. ბევრჯერ შემომხვედებია ამ წუთისოფელში. ჩემთვის მფარველი ანგელოზით არის, დედაც არის, მამაც, დაც, მამაც, ნათესავიც და ახლობელიც. **“სამოთხის გვერტები”** და **“ლუკას სახარება”** რომ გადავიკვლი, უწმინდესი მეუფეებთან ერთად, კინოსტუდიაში მოვიდა. მეშინოდა, არ გამბრაზებოდა, **“სამოთხის გვერტები”** რომ დავარქვი ფილმს. ჩვენების მერე მოთხრა: – **“გოდერძი,**

ესენი მართლა სამოთხის გვერტები არიან, მაგრამ შენ საიდან იცი, რომ აღრე ასე ასწავლიდნენ მთაში წერა-კითხვას?” მე, რა თქმა უნდა, არაფერი ვიცოდი ამის შესახებ. უწმინდესმა მამის მონაყოლი გაიხსენა, თურმე მართლა ასე ასწავლიდნენ წერა-კითხვას...

დაახლოებით 30 წლის წინ თბილისში ერთ ახალგაზრდა ოჯახში ხანძარმა იმსხვერპლა 9 წლის ბიჭი და 7 წლის გოგონა. მშობლები ხანძრის დროს შინ არ იყვნენ. პატრიარქმა ეს ამბავი რომ შეიტყო, მაშინვე მათთან წავიდა. მან ცოლ-ქმარს საკუთარი სახარება და სანთლები აჩუქა და დიდხანს ესაუბრა. მივიდა მათთან მეორე დღესაც, მესამე დღესაც... ბოლოს სთხოვა, საპატრიარქოში მესტუმრეთო. მათ უარის თქმა ეუხერხულათ და მივიდნენ. საუბრისას გამოტყდნენ, რომ განზრახული ჰქონდათ თავის მოკვლა. რაც პატრიარქმა მათ სიკვდილის შემდგომ საუკუნო სიცოცხლეზე მოუთხრო, მისი ირწმუნეს და მოისურვეს, შეიღებეს ბუნებრივი სიკვდილის შემდეგ შესხვედროდნენ, და ვიდრე იცოცხლებდნენ, მუდამ თავიანთი შვილებისთვის ილოცებდნენ. პატრიარქმა მათ საპატრიარქოში მუშაობა შესთავაზა. ქმარი სამი წლის წინ გარდაიცვალა – სიცოცხლის ბოლომდე საპატრიარქოს

იურისტი გახლდათ, მისი მეუღლე კი დღესაც საპატრიარქოს არქივს ხელმძღვანელობს.

სამი ათეული წლის წინ მომდევრალ თემურ წიკლაურს სამი წლის ვაჟი გარდაცვალა. პატრიარქმა ბატონი თემური და მისი მეუღლე თავისთან მიიწვია. საუბრისას შეიტყო, რომ ბატონი თემური სცენაზე გამოსვლას აღარ აპირებდა და უთხრა: ყოველი კაცი იქ უნდა ემსახუროს ქვეყანას, სადაც უფალი დაადგენს. განა რა უფლება გაქვს, ყველაფერი მიატოვო? პატრიარქმა ბატონ თემურს დაეთინ გადასცა და აკურთხა, რომ იქიდან ფსალმუნები ყოველდღიურად წაკითხა. ასევე გადასცა დიდი სანთელი, რომელიც ფსალმუნების წაკითხვისას უნდა აენით. ბატონმა თემურმა ბავშვის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს დაასრულა ფსალმუნების კითხვა და პატრიარქისეული სანთელიც ჩაიღვენთა. ბატონმა თემურმა იგრძნო ღვთის სიტყვის ძალა და განმტკიცდა რწმენაში...

უწმინდესს (მაშინ პატრიარქი არ იყო) უნდოდა, მშობლები სამთავროს მონასტრის ეზოში დაესახლებინა. მაშინდელმა პატრიარქმა უარი უთხრა, რადგან ისინი სასულიერო დასის წარმომადგენლები არ იყვნენ. როცა თავად გახდა პატრიარქი, ერთმა ახლობელმა შეახსენა – მშობლების

ნეშტები სამთავროს მონასტრის ეზოში ხომ არ გადავსვენოთო. უწმინდესმა მიუგო, – მე პატრიარქის კურთხევას ვერ დავარდვევო.

პატრიარქი ხშირად იგონებს წლებს, როცა ის ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იყო. ერთხელ თქვა: აფხაზეთისგან გასაოცარ სიყვარულს ვგრძნობდი. ხშირად მოდიოდნენ ჩემთან, დიდხანს ესაუბრობდით. მაგრამ ყველაზე მეტად დამამასოვრდა ერთი ქალბატონი, რომელმაც ერთი ქილა შედედებული რძე მომიტანა – მეტი არაფერი ჰქონდა და ამით გამოხატა ჩემდამი სიყვარული. მე ის აფხაზი ქალი დღემდე მახსოვს და მუდამ ვლოცულობ მისთვის, მისი სიკეთის გამო.

უცხოელ ჟურნალისტებთან აჭარაში ქრისტიანობის აღორძინებაზე საუბრისას მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი) აღნიშნავდა ილია მეორის უდიდეს ღვაწლს: **“ეს ღვთის სასწავლია, ამას მხოლოდ ქადაგებით ვერ ახსნი. ადგილობრივი მუსლიმანები დიდ პატივს სცემენ საქართველოს პატრიარქს. ერთხელ მალაღმთიანი აჭარიდან ხოჯას წერილი მივიღე: არ შეიძლება, რომ ილია მეორე მართლმადიდებლებსაც გხელმძღვანელობდეთ და ჩვენ, მუსლიმანებსაც?”**



მე მასსოვს და მაჰანის ნუ დაივიწყებენ!

ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ და რევოლუციური ტრუმფიზმის ხელისუფლებაში მოსვლის წინააღმდეგი თავიდანვე ვიყავი!

სხვათაშორის, იმიტომ კი არა, რომ მათვე „დიდ პოლიტიკოსს“ მივსტიროდი! არა ბატონო! ვინც მე კარგად მიცნობს – იცის ჩემი დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობის პატრიარქის, დიდი ზვიად გამსახურდიასა და მისი ეროვნული ხელისუფლებისადმი! ვინც მიცნობს, იმან, ასევე იცის ჩემი უადრესად ნეგატიური დამოკიდებულება კრიმინალური პუტჩის გზით მოსული შიგნითგანდასხვიანების ხელისუფლებისადმიც!..

საქმე იმაშია, რომ ნებისმიერი მეტნაკლებად ანალიტიკური აზროვნების მქონე ადამიანისათვის თავიდანვე ნათელი იყო სინამდვილეში თუ ვის მიერ და რა მიზნით იყო ეს „ვარდების რევოლუცია“ წოდებული მასობრივი ბაკანალია ინსპირირებული! ჭკუათმყოფელთათვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ გლობალისტურ ძალებს განზრახული ჰქონდათ ბებერი შვედრანდიის – მართალია შლეგი, მაგრამ ახალგაზრდა „შვედრანდიით“ ჩანაცვლება!

ეს იყო პროექტი, რომლის მიხედვითაც ეროვნულ-ტრადიციულ ფასეულობებზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალებისთვის უნდა მოესპოთ შესაძლებლობა მალე ხელისუფლებიდან წამსვლელი შვედრანდიე და მისი გუნდი ჩაენაცვლებინათ!

ეს იყო პროექტი, რომლის მიხედვითაც არსებული მარიონეტული ხელისუფლება უნდა ჩაენაცვლებინათ ასევე მარიონეტული, მაგრამ ყველაფერზე წამსვლელი და ხელისმომწერი ხელისუფლებით!

ეს იყო პროექტი, რომლის მიხედვითაც შეუქცევადად და ფორსირებულად უნდა გაგრძელებულიყო ქვეყნის ნგრევა-გაგვე-

რანება! დიას, ეს იყო პროექტი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი საშუალებით არ უნდა დაეშავა ჩვენი სამშობლოს რეალური სახელმწიფოებრივი აღორძინება და ეროვნულ-ტრადიციულ-მართლმადიდებლურ ფასეულობებზე ორიენტირება!

დიას, ეს იყო ჩვენი სამშობლოს დასაღუპად შემუშავებული და გამიზნული პროექტი!

სამწუხაროდ, ეს მზაკერული ჩანაფიქრი განხორციელდა!..

კარგად მასსოვს იმ ავადსახსენებელი ვარდების რევოლუციის წინარე თუ მიმდინარეობის პერიოდში საჯაროდ როგორ ვქადავებდი ყოველივე ამის თაობაზე! როგორც კი მომეცა შესაძლებლობა – პრესითაც გამოვიხატე ჩემი პოზიცია, სადაც დაგაფიქსირე აზრი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ რატომ იყო პრინციპულად მიუღებელი დენაციონალიზებული გიუგების დაჯგუფების ხელისუფლებაში მოსვლა!..

მასსოვს ძალიან ბევრი ახლობელი ადამიანიც კი, ჩემზე განაწყენდა იმ დროს! ის კი არა, ერთმა შეზარხოშებულმა და ჭკუაარეულმა ახლობელმა ლამის შვედრანდიისტობაც კი დამაბრალა, რითაც ძალიან დამწყობა გული... ხოლო, მეორემ კი, ასე მისაყვედურა – „არ ხარ მართალი, ამას ნუ ამბობ ზური, ამის გარეშე აბა როგორ გვინდა, როგორ ვაპირებთ, როგორ უნდა დაგვირუნდეთ აფხაზეთში“, – რაზეც მე მიუყიბ-მოუკიბავად ვუპასუხე, რომ სააკაშვილ-ჟვანია-ბურჯანაძის ხელისუფლება აფხაზეთში დაგვაბრუნებდა კი არა, ტერიტორიებს დიდი ალბათობით კიდევ დაგაკარგვინებდა, ხოლო, მას სოსხუმში კი არა, კუკის სასაფლაოზე მოუწვედა სამუდამო განსახსენებელი!..

მოკლედ, მაშინ ისეთი რეალობა იყო

შექმნილი, რომ აქ ჩემი და ჩემისთანა ერთეულების პოზიცია ნამდვილად არაფერს წყვეტდა! ჩვენ არანაირი ბერკეტები არ გაგვანდა მისალოდნელი კიდევ უფრო დიდი უბედურების შესაჩერებლად, უმწონი ვიყავით! ადამიანები იმდენად იყვნენ ვუზალტირებულნი, რომ თითო-ორიოლას გარდა არავინ იყო სადი აზრის გამგონი და შემსმენელი! ჩემი მეგობრებო, ახლა ამას რატომ ვყვები: ვხედავ ძალიან ბევრი ადამიანი ყველაგანს – აქოდა მიშას რეჟიმს ვებრძოდით, მაგრამ მე ხომ ისიც კარგად მასსოვს, ზუსტად ისინი თუ როგორ ეხმარებოდნენ იმ უფშიტინეს ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში! გასაკვირაა, რომ ყველაფერი კორდონებს იქიდან იყო დაგვიმილი და სტიმულირებული, მაგრამ ადგილობრივი მხარდამჭერი მასა რომ არ ჰყოლოდა სააკაშვილ-ჟვანია-ბურჯანაძის ტრიუმფირატს – ის ოხერი გეგმაც განუხორციელებელი დარჩებოდა! არა, არ შედგებოდა ის ფარსი-სპექტაკლი, რომ ვერ მოეხერხებინათ და მისთვის ესოდენ აუცილებულ დეკორაციად ადგილობრივი გამწარებული, მაგრამ გაბრეკებული მოსახლეობა არ გამოეყენებინათ!

რომ არა „ვარდების რევოლუცია“ მონათლული ის საყოველთაო რიპ-რია – ბოლოსდაბოლოს, ის მოხარია „დიდი პოლიტიკოსი“ ისედაც მალე წავიდოდა ჯანდაბაში, მოუსავლეთში და ხელისუფლებაშიც მისი იდეური თანამოაზრეების თუ შვილობილების ნაცვლად შედარებით ნორმალური და მისაღები პოლიტიკური ძალა მოვიდოდა, რაც მომავალში შესაძლებელს გახდიდა ჭეშმარიტად ეროვნულ-პატრიოტულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგომი პოლიტიკური ძალის ფორმირებასაც!..

ასე რომ, ამ ქვეყნის მისიკვდილებაში ოდენ მოქავეშირს, ნაცბანდას და ქოცებს

როდი მიუძღვით ბრალი! სამწუხაროდ, ამაში თავიანთი წილი ბრალი აქვთ თავის დროზე მათ მიტმანსილ-მხარდამჭერ, მაგრამ, შემდეგ რაღაც მიზეზთა გამო მათთან ნამდვილ თუ მოხვედრებით ანტაგონიზმიში შესულ ადამიანებსაც!.. ვიქნები უფრო კატეგორიულიც: ვთვლი, რომ თითო-ერთი ის ადამიანი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ აღმოჩნდა ყოველი მომდევნო ანტიეროვნული ხელისუფლების შეგნებული თუ შეუგნებელი მხარდამჭერი – ნებისთ თუ უნებლიედ დამნაშავეა სამშობლოს დაქცევა-გაუბედურებაში!.. ჰოდა, ახლა, ამას ვინმე თუ ვერ ხედავს – ნამდვილად კარგს იზამს, თუ ტენის გაანძრევს, სადაც გაანალიზებს წარსულს და ასევე საკუთარ ქმედებებსაც იმავე წარსულში! აი, რატომაც მეხსიერება დაკარგულების მიმართ კი, ჩემი გულწრფელი რჩევა ასეთია – როგორმე შეცვადონ ამ ოხერი ამნეზიისაგან საკუთარი პერსონის განკურნებას!..

ჰო, კიდევ აუცილებელია ამ ადამიანებს როგორც მინიმუმი სინანულის განცდა მინც გაუნდეთ, რადგან, ამის გარეშე მათი ნამუსიანობის და გინდათ ადეკვატურობის თაობაზე ნამდვილად ვებრთელა კითხვის ნიშანი განდება!..

ბარემ ამასაც დაგაფიქსირებ: დარწმუნებული ვარ ამის წამკითხველთაგან ძალიან ბევრს ეს არ მოეწონება! დარწმუნებული ვარ ბევრს ეს გააღიზიანებს! ვერაფერს ვიზამ, რადგან ვინმეს მოსაწონებლად ეს ნამდვილად არ დაწერილა!..

ზურაბ კვარაცხელია,
ზუგდიდი
13. 3. 2017 წ.

ლაშა გვასალია: ქართულ მკითხველს ვულოცავ ვისი უსაყვარლესი შემოქმედის იუბილეს!



ერთად ასახავს ავტორის კონკრეტულ სათქმელსა და პოზიციას, შინაგანი განცდის საფუძველზე, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ფენომენოლოგიურ მომენტს!

იცის ვახტანგ ხარნილაშვილი – ზეცისკენ ასასვლელი ერთი გზაა მხოლოდ – მაშულიშვილობისა და ნამდვიკაცობის! ის დირსეული მამულიშვილი და ჭეშმარიტად ნამდვიდკაცია!

გილოცავ, ჩემო დიდო და საიმედო მეგობარო, ჩემო უსაყვარლესო მოძღვარო, ვულოცავ შენს ლამაზ ოჯახსა და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ასე მარადისად ეპირფასები, ჩვენს კვანწის ვულოცავ, ჩვენს ცაუტოლო მეგობარსა და თანამებრძოლს! ქართველ მკითხველს ვულოცავ მისი უსაყვარლესი შემოქმედის იუბილეს!

მრავალშამიირ!

მე დაბამარცხე სიყვარულით სიყვარულით

მე დაბამარცხე სიყვარულით, სიყვარულის გალამაში ჩაგსვს და ტყვედ წამოგიყვანა. მე დაბამარცხე სიყვარულით და შენს გაღაფანს, სიძულვილის ქვა-ღორღით ნაგებს, სიძულვილის ღუღაბით შეკრულს, ბზარი გაუნდა და ჩამოინგრა; მე დაბამარცხე სიყვარულით და მოთმინებით, რადგან ვიცოდი, რომ არსებობს წამი, როდესაც მტერიც უყვართ! აი, იმ წამს უნდა მიუსწრო, იმ წამს უნდა დაუღარაჯდე, როგორც უცრად გაღებულ კარებს, რომ მოასწრო და შიგ შეხვიდე, სანამ კარებს კვლავ ჩაგმანავდნენ. მე დაბამარცხე სიყვარულით, სხვა ლაშქარი მე არ მყოლია...

მასტანბ ხარნილაშა

მისარხიარ, მიყვარხარ და მეიმედები! უღრმესი პატივისცემით ლაშა გვასალია, – ვერს გვასალია.

ქართული სუფრა ევროპული ქვეყნების სამზარეულოებს შორის მე-4 ადგილზეა – რას ნიშნავს ბლოგერები ქართულ ქერქებზე

48 ევროპულ ქვეყანას შორის საჭმელისა და სასმელის რეიტინგში საქართველომ მეოთხე ადგილი დაიკავა. რეიტინგი კულინარიის ბლოგერების – კვინი აღექსანდერისა და ლიზ ჩილდერის მიერ არის შედგენილი, რომლებიც მოგზაურობენ, სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს ეცნობიან და ბლოგს წერენ. კვინის და ლიზის ბლოგი საიტზე thrillist.com 2015 წელსაა გამოქვეყნებული და როგორც უკვე ვითხარით, საქართველო გემრიელი საჭმლის რეიტინგში მეოთხე ადგილზეა.

აი, რას წერენ ქართულ სამზარეულოზე ავტორები:

“თავიდან ლიზთან დიდხანს ვემათობდი, რომელი ქვეყნის სამზარეულო იყო ყველაზე კარგი – ლიზი ქართული კერძების საოცრებებზე მიამბობდა, რასაც მოჰყვა ჩვენი დაინტერესება იმით, თუ ვეროპის რომელი ნაწილი გამოირჩევა საუკეთესო სამზარეულოთი. ამიტომ დავიწყეთ გამოკვლევა (მოვინახულეთ 39 ქვეყანა) და დავადგინეთ წესები: მთავარი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი სუფრა, საკვები და სასმელი” – ვერს გამოცემა thrillist.com-ს ავტორი კვინი აღექსანდერი.

“საქართველო ვეროპისა და აზიის შუაგულში მდებარეობს, ამიტომ იქაური კერძები საოცრად მდიდარი სუნელების და საკმახების გემოთა გაუღწევილი, როგორ კომბინაციებსაც სხვა რეგიონებში ვერ ნახავთ. ხაჭაპური ქვეყნის გამოირჩეული კერძია, ნავის ფორმის, სახე საოცარი გამძნარი ყველით და თოხლო კვერცხით. ქვეყნის გამოირჩეული კერძების რიცხვშია: ხინკალი – ხორცი და წვენი ამოვსებული, მოხარული ცომი; კუჭმაჭი – ამ კერძში არ უნდა იქონიოთ რა ურევია (გული, ღვიძლი და ა.შ.), რადგან მასში შეზავებულია შემწ-

ვარი ხახვი, ნიორი, მწვანელები და წითელი ბროწეულები; ჩახობილი – ქათმის უგემრიელესი კერძი. ყველი და ტყემალი კერძების კომბინონად გვევლინება. ტყემალს, რომელიც მომავალ სოუსია, ძირითადად ხორციან კერძებთან მიერთებენ”, – ნათქვამია სტატიაში.

საქართველომ კულინარიის ბლოგერების სიაში საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა. პირველი სამეული კი ასე გამოიყურება: 3. ესპანეთი, 2. საფრანგეთი, 1. იტალია. ამასთან, სიაში მეხუთე ადგილზე გერმანიაა გამწესებული. რუსეთი 25-ე ადგილზეა, უკრაინა 42-ე ადგილზე. ვერ დავადგინეთ, თუ რომელ ადგილზე გავიდნენ მუდამ ლამაზი ქართულის ბრაკონიერულად მიმოვისებული (დაწვეებული – ხაჭაპურით და დამთავრებული – ქართული სიმღერებით – “ჩაერულითი”, თუ “სულიკოთი”) სომხები, რომლებიც ახლა, ქართული სამზარეულოს ესოდენ დამაჯერებელი გამარჯვებით გამწარებულიები, ალბათ ერთ ადგილს იღლებენ!





„სამთავრობო ქალაქის“ მუხანაზობა

დღე ისე არ ჩაივლის, რაღაც ახალი წინადადებით გული არ „გაგვიხაროს“ ჩვენმა ხელისუფლებამ. ასე იყო სულ ახლახანს, როდესაც პრემიერ-მინისტრმა გულსანდები გაგვანდო: – ორთაჭალაში „სამთავრობო ქალაქის“ მშენებლობა იწყება. „გადავწყვიტეთ, მომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, ორთაჭალაში იმ ადგილას, სადაც ბიზნეს-სახლის პროექტი ხორციელდება, გააკეთოთ სამთავრობო ქალაქის პროექტი. ძალიან დიდი ტერიტორია გამოიყო ამისთვის, სადაც განხორციელდება სამინისტროების გადატანა, რაც ერთი მხრივ იქნება ძალიან კარგი, რადგან ქალაქის ცენტრში ძალიან ბევრი საოფისე თუ სასტუმროებისთვის სივრცე გამოთავისუფლდება. მეორე მხრივ კი, წახალისდება სამშენებლო სექტორი...“.

მოდით სერიოზულად გავარჩიოთ პრემიერის ნათქვამი. მაშ ასე, პრემიერი ამბობს სიტყვა „გადავწყვიტეთ“, მრავლობით რიცხვში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს „გენიალური“ იდეა მართლმას კი არ ეკუთვნის, არამედ კიდევ სხვას – ერთს ან რამდენიმე პირს. საინტერესოა, ვინ არიან ისინი?

თუ მრავლობითში მხოლოდ ერთი კაცი და პრემიერი იგულისხმება, ის, ერთი – ცნობილია. მისი სახელი და გვარი ბიძინა ივანიშვილია – გრანდიოზული, მაგრამ ყოველად გამოუსადეგარი მშენებლობების ავტორი. მართლმაც შეკვეთილის 100 მილიონ დოლარად დორებული საკონცერტო დარბაზი რად ღირს ან დაცარიელებულ ქუთაისში და საქართველოში, საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა – გათვლილი 50000 სტუდენტზე?!

გარდა ამისა, „სამთავრობო ქალაქის“ მშენებლობა სერიოზულ სახელმწიფო თანხებთან არის დაკავშირებული, რასაც თავის თავზე კვირიკაშვილი არ აიდებს. ვეჭვობ, რომ ის, რაც კვირიკაშვილმა თქვა, სულაც არ არის მისი იდეა. ის, უბრალო გამხმრვანებელია ივანიშვილის დავალების.

ისევ სიტყვა „გადავწყვიტეთ“-ის შესახებ. საბჭოთა პერიოდში მცხოვრებ ადამიანებს კარგად ახსოვთ ეს სიტყვა და მისი მნიშვნელობა, როდესაც სიტყვა „გადავწყვიტეთ“, სხვ კმ ცეკუნერალური მდივანი ამბობდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ გადაწყვიტა პოლიტიურად, ე.ი. პოლიტიურად არა ერთმა ან ორმა, არამედ მრავალმა წევრმა, უმრავლესობამ, რაც აშკარად მიანიშნებდა არა ერთის გადაწყვეტილებაზე, არამედ კოლექტივის ვერც ერთი გენერალური მდივანი, სტალინით დაწყებული, თავს უფლებას ვერ მისცემდა პოლიტიურად წევრების გარეშე გადაწყვიტა საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდი თუ მცირე საკითხი. და ეს, იმ „ავად-სახსენებელ“, არადემოკრატიულ საბჭოთა სისტემაში. აქ, ჩვენს რეალობაში კი, რა ხდება?!

„მოჭარბებულად დემოკრატიული“ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, თუნდაც მთავრობის წევრებთან შეთანხმების გარეშე, ფაქტის წინაშე აყენებს მათ, პარლამენტის უმრავლესობას, პოლიტიკურ პარტიებს და საქართველოს ბიუჯეტისთვის ერთობ საგრძნობ საკითხს – სამთავრობო მშენებლობას აცხადებს.

არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში მსგავს თავხედობას ადგილი არ ექნება და არა მარტო დემოკრატიულში, არადემოკრატიულშიც კი, ვინაიდან ის არა მარტო სახელმწიფო ფულის უყაირათო ხარჯვას ეხება, არამედ მშენებლობას, რომლის აშენების შემთხვევაში კარდინალურად შეიცვლება დედაქალაქის ლანდშაფტი, ცხოვრების რითმი, იერსახე და ა.შ.

ვიდრე პრემიერი სიტყვა „გადავწყვიტეთ“ იტყვდა, საჭირო იყო სპეციალისტებთან, განსაკუთრებით არქიტექტორებთან, ურბანისტებთან, ქალაქის მესვეურებთან, სხვებთან და სხვებთან საკითხის აწონ-დაწონა, გააზრება იმისა, რისთვის არის საჭირო

„სამთავრობო ქალაქის“ მშენებლობა; რით არის ეს გამოწვეული; ვინ ააშენებს ამ „ქალაქს“ – ქართველი თუ უცხოელი სპეციალისტები; როგორი იქნება ამ „ქალაქამდე“ მისასვლელი გზების გამტარიანობა; მოხდება თუ არა დამატებითი გზების მშენებლობა და სხვა. და როდესაც მათთან შეჯერდებოდა მთავრობა, მაშინ მიმართავდა თბილისელებს ამ გრანდიოზული პროექტის განხორციელების თაობაზე.

„სამთავრობო ქალაქის“ აშენება ისეთი საკითხია, რომ თბილისელთა ჩართვას საჭიროებს და მათ ხმას, თუნდაც საქალაქო პლენისციტით. „ქალაქის ცენტრში ძალიან ბევრი საოფისე თუ სასტუმროების ფართი გამოთავისუფლდება“ – გვეუბნება კვირიკაშვილი და იმედი აქვს, რომ გამოთავისუფლებულ შენობას ვინმე უცხოელი, ოფისისთვის ან სასტუმროსთვის შეისყიდის.

კოსტავას ქუჩაზე მდებარე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი შენობა რახანია გამოთავისუფლებულია და უპატრონობისგან ჩვენს თვალწინ ინგრევა. არაერთი ხმაურიანი განცხადება, რომ შენობა ვიღაც ცნობილმა ფირმამ შეიძინა და მალე სასტუმრო გაიხსნება – არ გამართლდა. ანალოგიური ბედი ეწია მტკვრის სანაპიროზე, რესტორან „არაგვს“, რომელიც სასწრაფოდ დაანგრეს და დარჩა ასე შემოღობილ-დანგრეული, მსუყვე ინვესტორის მოლოდინში. იქაც სასტუმროს გვეგავდნენ.

თვალი შევავლოთ კოსტავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის შენობას, რომელიც, როგორც ამბობენ, ივანიშვილის საკუთრებაა და დვას უზაროდ, ნახევრადდანგრეული, უიმედოდ შეკუმრებს მომავალს. ანალოგიური ბედი ეწია „ხაკოს“ ყოფილ შენობას თამარაშვილის ქუჩაზე, რომელიც „თბილისი ბანკმა“ შეიძინა – „გამოქუთნა“ და მიატოვა, როგორც დანგრეული ალკო.

რა გარანტიაა, რომ გამოთავისუფლებულ ფართს ვინმე შეიძენს და იქ ოფისებს ან სასტუმროებს გახსნის? არავითარი. მაგალითი – კოსტავას ქუჩაზე მდებარე პრესის ყოფილი სახლია, რომელიც, მოუხედავად არაერთი განცხადებისა, ჯერაც სრულად არ შესულა ექსპლუატაციაში.

საქართველოს ხელისუფალთ, რომ სასტუმრომანია სჭირთ, გასაკვირი არ არის. მათი ვიწრო აზროვნება სხვას ვერ წვდება, ვერც იმაზე ფიქრობს – ამდენი სასტუმროები სჭირდება თუ არა ქალაქს?

თბილისი ვერასდროს იცეკვა ისეთ ტურისტულ მექად, როგორც რომი, პარიზი, მადრიდი ან თუნდაც სტამბოლია, ვინაიდან ამ ქალაქში არც გასართობია, არც ისეთი ღირშესანიშნაობები, როგორც ქაიროში, ათენში ან ზემომოყვანილ ქალაქებში; არც მუზეუმები და ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებია, რითაც ტურისტების ყურადღების მოპოვება იქნება შესაძლებელი.

ხელისუფლება ტურიზმის განვითარებას მხოლოდ სასტუმროს უკავშირებს და არა ქალაქის ან ქვეყნის ინფრასტრუქტურას, ნორმალურ გზებს, არანაკლებ ნორმალურ ტროტუარებს, სისუფთავს, წესრიგს, საქალაქო ტრანსპორტის მუშაობას, მომსახურებას სასტუმროებში, რესტორნებსა და კაფე-ბარებში, თავაზიანობას და სხვა მრავალ მსხვილმან-წვრილმანს – ტურიზმისთვის აუცილებელ საქმეს.

ტურიზმს, ქიმიკატებით გაჯერებული თურქული მდარე ხარისხის კვების პროდუქტებით ვერ განვითარებთ, ვერც მაკარონით შეზავებული ხაჭაპურით. ყველიანი ხაჭაპურის ყიდვა ისეთივე სიმწველი წარმოდგენს, როგორც ხორციანი დვეხელის. საქართველოში დასავლეთიდან ძირითადად „პოსტელის მუშტარი“ ტურისტები ჩამოდის, რომელიც იმ კუთხე-კუნჭულშიც დადის, ჩვენ რომ თავს ვარიდებთ ანუ შარდით აყროლებულ მიწისქვეშა გადასახვლელებში, ბაზრებში, ჭუჭყიან ქუჩებში. ის,

სწორედ ე.წ. ხაჭაპურით (უყველო), დვეხელით (უხორცო) იკვებება და დარწმუნებული ვარ, არასდროს შეაქვს ქართულ სამზარეულოს.

ასე, რომ სასტუმროებისთვის ფართის გათავისუფლება წელის ნაყვია და მეტი არაფერი. უკვე რამდენი წელიწადია აღმაშენებლის გამზირზე უპატრონოდა მიტოვებული ყოფილი სასტუმრო „რუსთავის“ შენობა. ამ ხნის განმავლობაში ქალაქში არაერთი მერი შეიცვალა. არც ერთ მათგანს თავში აზრდაც არ მოსვლია კეთხა, რატომ არის ეს შენობა მიტოვებული-გაპარტახებული?

პრემიერის ინიციატივას უმაღლესი აუბა რევიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ალავიძემ: „ჩვენ, უნდა მივიღოთ ენერგოეფექტური შენობები. ჩვენ მრავალი ქარტიის მონაწილე ვართ, სადაც ხელი გვაქვს მოწერილი ამ მიმართულებით. ამას, რომ თავი დავანებოთ, ჩვენი სამინისტროების უმეტესი ნაწილი ზის ისტორიულ შენობებში და ქალაქის ისეთ უბნებში, რომლებიც ძალიან საინტერესოა სასტუმროს და ტურისტული მიმართულების განვითარებისთვის. ...გადავიდეთ, უფრო კომპაქტურად, ისეთ ადგილებზე, რომლებიც ხარჯების ოპტიმიზაციის საშუალებას მოგვცემს“.

ალავიძის ნათქვამმა უმაღლესი გამიხინკითხვა – ვინ ააშენებს „სამთავრობო ქალაქს“, თანაც ენერგოეფექტურს? საქართველოს ძველ, გამოცდილ და ცნობილ არქიტექტორებსა და მშენებლებს ამის თავი აღარ აქვთ. ისინი სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩარეცხა, ისე, როგორც ნებისმიერი დარგის სპეციალისტი. გარდა ამისა, მათ დისკვალიფიკაცია განიცადეს. ახლებს არც გამოცდილება აქვთ და არც შესაბამისი განათლება, რაც აშკარად სახეზეა თბილისში მიმდინარე საბინაო მშენებლობიდან გამომდინარე.

„სახელისუფლებო ქალაქს“ ურბანისტ-არქიტექტორი სჭირდება, გამოცდილი და ამ საქმის მცოდნე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ უპაერო აკვარიუმს მივიღებთ, როგორც პარლამენტის შენობაა ქუთაისში. საჭირო იქნება უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, თუ არადა, აშენდება ისეთი ერთჯერადი საქათმე, როგორც თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე ვაკე-საბურთალოს გამკეობაა.

ალავიძე მოჭირნეობასაც ეხება, თითქოს სამინისტროების გადახვლა და ფარდაღება შენობებში განთავსება ხელს შეუწყობს საბიუჯეტო თანხების დაზოგვას. და ამას ამბობს იმ ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელმაც ოთხი წლის განმავლობაში ვერაფრით გადმოიყვანა პარლამენტი ქუთაისიდან, თბილისში.

პარლამენტის ქუთაისში ყოფნა რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მილიონებს ფლანგავს – ეს ამ ხელისუფლებას არ აწუხებს და ფეხს ითრევს დაპირების შესასრულებლად. უმრავლესობაში მყოფი „ოცნება“ არ ჩქარობს თბილისში დაბრუნებას, რაც ალბათ კვირიკაშვილის ინიციატივითაცაა განპირობებული. გამორიცხული არ არის პარლამენტის თბილისის შენობის გაყიდვაც და მისი ქუთაისში სამუდამოდ დატოვება.

ალავიძის განცხადებიდან გამომდინარე, რაღაც ვერ ვისხენებ ისტორიულ შენობაში განთავსებულ სამინისტროს, გარდა საგარეო საქმეთა სამინისტროსა – ჩიტაძის ქუჩაზე, ამორტიზებულ, ძველ და სამინისტროსთვის ერთობ მოუხერხებელ შენობაში განთავსებულს. აი, რაც შეეხება პარლამენტს, ის მართლაც ფუნდამენტურ, სოლიდურ შენობაშია განთავსებული, თანაც რუსთაველის პროსპექტზე.

ამ შენობას 1992 წლის დასაწყისში (ომის შემდეგ) თვალი დააღვა „პატრიოტმა“ ქალაქის მესვეურებმა, რომლებმაც იმ საბაბით, რომ 1991-92 წლების მსგავს სამხედრო დაპირისპირებას მომავალში არ პკონოდა ადგილი, გადაწყვიტეს პარლამენტის ახალი შენობის თბილისის ზღვაზე აშენება (ცენტრიდან შორს). გარდა ამისა, რუსთაველზე არსებული სამინისტროების

სხვაგან გადატანა და რუსთაველის პროსპექტის საღალბოდ გადაქცევა.

ეს იყო მოტივი, რომელიც 1992 წლის თებერვალს დროებითი მთავრობის სხდომაზე განიხილეს. სინამდვილეში „პატრიოტ ქართველებს“ პარლამენტის შენობის, ბიზნესისთვის გადაცემა სურდათ და იქ მაღაზიების გახსნა და რომ არა ცხოვრებული გოგი ანდრონიკაშვილის, თქვენი მონამორჩილისა და არქიტექტორ ვახტანგ ცუხიშვილის ძალისხმევა, შენობა დიდი ხანია ბიზნესის ხელში იქნებოდა. იმ ძველი ქართველი „პატრიოტების“ ნაშეიკები აპირებენ მამათა მიერ განუხორციელებელი იდეის განხორციელებას.

გარდა ჩამოთვლილი ნევატიური მომენტებისა, უდავოდ უნდა აღვნიშნოთ მთავარი – კვირიკაშვილის ინიციატივა გაქდერდა შიმშილის ზღვარზე მყოფ, ეკონომიკურად გადატაკებულ საქართველოში. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობდეს ხალხის შიმშილისგან გადარჩენას – „სამთავრობო ქალაქის“ აშენებას გვეგავს, რითაც მილიონობით ღარიბს თუ დოლარის ფლანგვას აპირებს.

ამას წინათ, ქალაქის მერმა ნარმანიამ – სააკაშვილის მიერ აშენებული საშინელი ორი „ტრუბების“ დემონტაჟისთვის და ძველი ქალაქიდან გადატანისთვის ფული არ გვაქვსო – განაცხადა. მაშ, რა მშენებლობაზე გვეუბნება კვირიკაშვილი? ნეტავ, უფულოდ მოხდება „სამთავრობო ქალაქის“ აშენება?

და ბოლოს – კვირიკაშვილის ინიციატივა იმდენად სერიოზულია, უდავოდ შეთანხმებულია ივანიშვილთან, უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, ეს ინიციატივა ივანიშვილისა და არა კვირიკაშვილის, ვინაიდან, მას მოსდის ესოდენ გაფრენილი „აღმშენებლობითი“ იდეები, მასთან დაახლოებული სამშენებლო კომპანიების დასასაქმებლად, ცხადია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

მოდით გაუთავებლად ვიძახოთ – სააკაშვილისგან გაგვათავისუფლო, თვალი დაგვუჭოთ „სამგმრო“ საქმეებზე, რისი მოწმენიცი გაგხდით და გავხდებით. ვაქოთ ისე, როგორც ამას აკეთებს ქალბატონი დეა სტურუა, „საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში. და ერთი წუთითაც არ ვიფიქროთ – საით მივიდვართ ან რა პქვია იმ მმართველობას, რასაც საქართველოში აქვს ადგილი.

მმართველობას, რასაც საქართველოში აქვს ადგილი – ერთი ბატონის მიერ ქვეყნის მართვა პქვია. მას არც კონსტიტუცია სჭირდება და არც სახელმწიფო სტრუქტურები. ამიტომაცაა დაქინებული პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის ფუნქციები. და ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებრივ მეტადრე ინტელიგენციამ გამოსაფხიზლებელი შეძახილით მიმართოს „მინის სასახლეში“ მყოფს და მის მოჯამაგირე ხელისუფლებას – დითირამბებით აქოებს.

